განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, და როგორც მეც არაერთხელ აღმინიშნავს, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დაცვის აუცილებლობა ასახულია არა მარტო სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, არამედ აგრეთვე საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში.

ასე, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად: “ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან” [8, მუხლი 7].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა:

ნუთუ ეს არის კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორობა?!

და ნუთუ ეს არ არის ჩვეულებრივი – ევრეთ წოდებული უბრალო – ადამიანების დ ი ს კ რ ი მ ი ნ ა ც ი ა, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანები (ანუ ის ადამიანები, რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან) პასუხს აგებენ თავის ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე, ხოლო სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირებს, და, მათ შორის, მოსამართლეებს სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, რაც აშკარა კრიმინალს წარმოადგენს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებად?!

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უკანონოდ “დაკანონებულ” უსამართლობას და ადამიანების კანონსაწინააღმდეგო უთანასწორობას კანონის წინაშე (?!), რაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებში დაუყოვნებლივ რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს.

კერძოდ, სამართლიანობის დამკვიდრებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეების მხრიდან ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი (თანამდებობრივი) უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ი ს გ ა დ ა მ ე ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედების მიზნით, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციიდან აუცილებლად ამოღებულ უნდა იქნეს 87-ე მუხლის პირველი პუნქტი (ისევე, როგორც აუცილებელია ამოღებულ იქნეს მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან ანალოგიური “სამართლებრივი” ნორმები), რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: “მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა...” [1].

აღნიშნული “სამართლებრივი” – უფრო ზუსტად კი, ყოველად გაუმართლებელი ანტისამართლებრივი – ნორმის ამოღება საქართველოს კონსტიტუციიდან და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან, მოსამართლეების მიმართ აამოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს, რაც კანონის მიმართ თანასწორ პირობებში ჩააყენებს მოსამართლეებს და ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ.

რაც შეეხება იმას, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ა.შ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ეს სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო და ალოგიკური ნორმაა, რამეთუ:

ჯერ-ერთი, უმთავრესი ის არის, რომ თუ მოსამართლემ (ისევე, როგორც სხვა თანამდებობის პირმა) გადაამეტა თავის სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას არავისი – მათ შორის, არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, თუნდაც ის უწესიერესი პიროვნება იყოს – ნებაართვა (თანხმობა) არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირღვევა ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რომ აღარაფერი ვთქვად იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (არც ერთი თავმჯდომარე) – ღმერთი არ არის.

და, მეორეც, სრულიად სამართლიანი და კანონიერიც რომ იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან თანხმობის მიცემა კრიმინალური ქმედების ჩამდენი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, მაშინ წამოიჭრებოდა ლოგიკური კითხვა: სად არის იმის გარანტია, რომ უზენაესი სასამართლოს ესა თუ ის თავმჯდომარე თვითონ არ არის კრიმინალი – იქნებ მანაც გადაამეტა სამსახურებრივ (თანამდებობრივ) უფლებამოსილებას თუნდაც ადრე – სხვა რომელიმე თანამდებობაზე ყოფნის დროს, მაგრამ იქნებ ისიც კონსტიტუციაში ჩადებული ანტიკონსტიტუციურმა ნორმამ დაიცვა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაგან, ანდა იქნებ მისი დანაშაული საერთოდ მიჩქმალეს (!).

თუმცა, რაც არ უნდა უმწიკლო იყოს უზენაესი სასამართლოს ესა თუ ის თავმჯდომარე, მაინც ყოველად გაუმართლებელი და დაუშვებელია, რომ მას ჰქონდეს უფლება დაარღვიოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე და არ დაუშვას კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რამეთუ არც ერთ კრიმინალს, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა, კონსტიტუციით “დაკანონებული” ეგრეთ წოდებული “კრიშა” («Крыша») არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად “დაკანონებული” უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (!).

ამრიგად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციიდან აუცილებელად ამოღებული უნდა იქნეს 87-ე მუხლის პირველი პუნქტი, როგორც მოსამართლეების კრიმინალური ქმედებების მხარდამჭერი და კრიმინალი მოსამართლეების დამცავი უსამართლო “სამართლებრივი” ნორმა, რაც მოხსნის მოსამართლეების და ჩვეულებრივი ადამიანების – კანონის წინაშე თანასწორობის დამკვიდრების გზაზე კონსტიტუციით “დაკანონებულ” ანტიკონსტიტუციურ დაბრკოლებებს.

* * *

გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია განხილულ იქნას საქართველოს კონსტიტუციით და სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებული” – მოსამართლეთათვის განსაკუთრებული კანონსაწინააღმდეგო პრივილეგიების მინიჭების, ფაქტობრივად მოსამართლეების “დაკანონებული” გაღმერთების, და ამით გამოწვეული – სხვა ადამიანების უფლებების შემლახველი, უდავოდ მიუღებელი “სამართლებრივი” ნორმის არსებობის პრობლემა.

კერძოდ, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: “მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე” [1].

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2010 წელს, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვისას, მე ვწერდი შემდეგს:

”რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მეორე პუნქტის რედაქციას, რომელიც კანონპროექტშია შემოთავაზებული, აქ, ჩემი ღრმა რწმენით, ფრიად სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად ”მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება უვადოდ”, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სრულიად დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ-ერთი, რატომ უნდა დაინიშნოს მოსამართლე უვადოდ, მაშინ როდესაც, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის არჩევა (ისევე როგორც უცხოეთის მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციების მიხედვით) ხდება მხოლოდ 5 წლის ვადით, რაც სრულიად ნორმალურია.

მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, გარდა 5 წლის ვადით არჩევისა, მას ეკრძალება ზედიზედ არჩეულ იქნეს პრეზიდენტად ორჯერზე მეტად (იმის ანალოგიურად, როგორც ეს უცხოეთის სახელმწიფოებში ხდება), ანუ ორჯერ არჩევის შემდეგ იგივე პირს არჩევნებში მონაწილეობაც კი ეკრძალება (კონსტიტუციით ”დაკანონებულ” ამ ანტიკონსტიტუციურ პრობლემას ცალკე განვიხილავ აქვე ...), ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებას კანონპროექტით გვთავაზობენ უვადოდ (!!).

საკვირველია, მაგრამ ფაქტია (!!).

მეორეც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: მაშ რატომ უნდა ხდებოდეს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება უვადოდ?!

გასაგებია, რომ აქ იგულისხმება სასამართლო ხელისუფლებისათვის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების შექმნა, როგორც ეს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მაგრამ რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ზოგიერთი მოსამართლე ამ დამოუკიდებლობას კორუფციის მიზნებისათვის უფრო “კარგად” არ გამოიყენებს?!

მესამეც, დავუშვათ, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა უვადოდ ან დანიშნული აღმოჩნდა (*დანიშნულად ჩაითვალა*) უვადოდ ყველა მოსამართლე (*ამასთან ვიგულისხმობთ, რომ ყველა მოსამართლე არის პატიოსანი და კომპეტენტური*), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოსამართლეებს (*თუ ისინი ახალგაზრდები არიან*) თანამდებობები უნდა ეკავოთ დაახლოებით 30-40 წლის განმავლობაში (!).

ამასთანავე, დავუშვათ, რომ 5 ან 10 წლის შემდეგ მოვიდა იურისტების ახალი თაობა, რომლებიც არა მარტო უდავოდ პატიოსნები არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში არიან აგრეთვე ბევრად უფრო განათლებულები და კომპეტენტურები, ვიდრე ეს უვადო მოსამართლეები.

რა ქნან მათ – ამ ახალგაზრა ღირსეულმა იურისტებმა?!

ნუთუ უნდა ელოდონ მანამ, სანამ დაბერდებიან და დაჩაჩანაკდებიან ძველი მოსამართლეები?!

შექმნილი (მოსალოდნელი) სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრად უფრო სამართლიანი და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესი იქნება, თუ, მაგალითად, ყოველ 4 ან 5 წელიწადში ერთხელ მოეწყო კონკურსები მოსამართლეების თანამდებობების დასაკავებლად, რათა ყველაზე ღირსეულმა – საუკეთესო პიროვნებებმა დაიკავონ ეს თანამდებობები.

ამასთან არ უნდა შეეზღუდოთ კონკურსში მონაწილეობის უფლება იმათ, ვინც რამოდენიმეჯერ უკვე იყო არჩეული (ან დანიშნული) მოსამართლედ, რადგან საუკეთესო – სწორედ კონკურსმა უნდა გამოავლინოს.

ხალხის ინტერესების უზენაესობიდან გამომდინარე, რომლის რეალიზაციასაც უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუცია, *ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მეორე პუნქტში* [9, გვ 32-35].

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვასთან დაკავშირებული ჩემი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი წიგნის სახით [9] გავუგზავნე (*კანცელარიის საშუალებით გადავეცი*) საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტის მაშინდელ ხელმძღვანელობას 2010 წელს, ამ კანონის მიღებამდე, მაგრამ ჩემს მიერ წამოყენებულ და

მეცნიერულად დასაბუთებულ რადიკალურ წინადადებებზე არავითარი ყურადღება და რეაგირება არ ყოფილა (!!).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩემს მიერ ადრე შემოთავაზებული წინადადებები კონსტიტუციაში (სახელმწიფოთა კონსტიტუციებში) რადიკალური ცვლილებების შეტანის თაობაზე, ახლაც აქტუალურია და მიმაჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების (სახელმწიფოთა ხელისუფლებების) მხრიდან აუცილებელ ყურადღებას საჭიროებს.

ამრიგად, უდავოა, რომ საქართველოს კონსტიტუციით და სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებით “დაკანონებული” – მოსამართლეთა თანამდებობებზე უვადოდ გამწესება აშკარად იწვევს სხვა ადამიანების უფლებების შელახვას, რის გამოც, *ჩემი ღრმა რწმენით*, ეს ნორმა მიუღებელ სამართლებრივ – *უფრო ზუსტად კი უსამართლო, ანუ ანტისამართლებრივ* – ნორმას წარმოადგენს.

ამასთანავე, მოსამართლეების თანამდებობებზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება ლოგიკური კითხვა:

იმიტომ ხომ არ იქნა კონსტიტუციით დაკანონებული მოსამართლეთა თანამდებობებზე უვადოდ გამწესება, რომ უვადოდ გამწესებული მოსამართლე იძლევა დაუსჯელობის მუდმივ გარანტიას იმ სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, რომელმაც მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესება შემოიღო, რათა ამ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებებისათვის (თუ ამას ადგილი ჰქონდა, აქვს და/ან ექნება) მომავალში პასუხი არ აგონ (!!).

ვფიქრობ, რომ ეს კითხვა ნამდვილად არ არის უსაფუძვლო, რამეთუ, *წინააღმდეგ შემთხვევაში*, ძნელი წარმოსადგენია, თუ რისთვის არის საჭირო მოსამართლეთა ასეთი გაღმერთება, და თანაც უვადოდ – სიბერემდე (!!).

აქვე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ევრეთ წოდებული – კანონის უზენაესობის პირობებში, ზოგჯერ სახელმწიფოს პარლამენტი იღებს ადამიანების უფლებების შემლახავ კანონებს, და ნაცვლად იმისა, რომ ასეთი კანონების მიღებისათვის ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, ეს კანონები მოქმედებს და იწვევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების უხეშ შელახვას, და ადამიანების უფლებების გათელვასაც კი (!!).

მაშასადამე, ეს ხომ ის შემთხვევაა, როდესაც ევრეთ წოდებული კანონის უზენაესობის გამო და მისი დახმარებით ხდება კრიმინალური ქმედებების დაუსჯელობის უკანონოდ “დაკანონებული” გარანტიების და მხარდამჭერი პირობების შექმნა, რაც სრულიად უსამართლო და გაუმართლებელია (!!).

სწორედ ამიტომ, და *საერთოდაც*, უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის – ხალხის – ინტერესებს!!!

ამასთან დაკავშირებით, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ჩემს მიერ მრავალი წლის წინ შექმნილი ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობის თეორიის [4; 10; და ა.შ.] თანახმად: “როგორც მეცნიერულ

კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ არა კანონის უზენაესობით, არა საშუალებათა უზენაესობით, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის უზენაესობით, ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობით, რაც წარმოადგენს პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას ფილოსოფიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში, რომელიც გამომდინარეობს ჩემს მიერვე შექმნილი სტრატეგიული მეცნიერული მიმართულებებიდან – მიზნის ფილოსოფიიდან და სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან (და არა ფილოსოფიიდან, რომელსაც მე საშუალებათა ფილოსოფიას ვუწოდებ), და აგრეთვე რომელიც გამომდინარეობს ჩემს მიერ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიიდან, სოციალურ-ეკონომიკური მართვის თეორიიდან და ა. შ.

ამრიგად, კანონის უზენაესობა, როგორც ცნობილია, საყოველთაოდ აღიარებულია თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში.

მაგრამ ის – კანონის უზენაესობა – არცთუ იშვიათად ქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს ხალხის ინტერესების რეალიზაციის საქმეში, ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დაცვაში, ხოლო ზოგჯერ იწვევს ხალხის ეკონომიკურ გენოციდს და დამონებას.

თუმცა ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენების აუცილებლობის უარყოფას.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს აგრეთვე უკანონობის წინააღმდეგ უმკაცრესი ბრძოლის აუცილებლობის უარყოფას.

მაშასადამე, მსჯელობა მიდის აქ მხოლოდ იმაზე, თუ ვის ან რას უნდა ეკუთვნოდეს უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში (!?), რასაც პრინციპული მეცნიერულ-თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, და რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დაცვის პრობლემასთან.

კანონის უზენაესობის პრობლემა, კანონშემოქმედებისა და კანონების გამოყენების პრობლემა საზოგადოებაში და სახელმწიფოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობის პირობებში, როდესაც ყიდვა-გაყიდვას ექვემდებარება ყველა და ყველაფერი.

ასეთ პირობებში, ზოგიერთი ყოფილი და ამჟამინდელი სახელმწიფო მოხელე, ან სხვა პირები, რომლებიც გამდიდრდნენ ხალხის ძარცვის ხარჯზე, ზოგჯერ აღწევენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს ხელისუფლებაში, რომლებიც მათ შეიძლება გამოიყენონ, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის, და, მეორე მხრივ, თავისი თანამდებობები შეიძლება გამოიყენონ მათ მიერ ნაძარცვი სახსრების უკანონოდ „დაკანონებისათვის“, და აგრეთვე მათ მიერ ხალხის შემდგომი ძარცვისათვის [4, გვ. 152-154].

“სწორედ ჩემს მიერ შემოთავაზებული ხალხის ინტერესების უზენაესობის პრინციპის ცხოვრებაში განხორციელების მნიშვნელობისა და აუცილებლობის მეცნიერული დასაბუთებისათვის, – როგორც მე იმავე მონოგრაფიაში ვწერდი, – ჩემს მიერ შექმნილი იქნა ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობის თეორია, ანუ ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია, რამეთუ ხალხის ინტერესების უზენაესობის პრინციპი უნდა ეფუძნებოდეს და ეფუძნება ხალხის ინტერესების უზენაესობის პოლიტიკურ-სამართლებრივ თეორიას, რომელიც მეცნიერულად ასაბუთებს ამ პრინციპის ცხოვრებაში განხორციელების აუცილებლობას.

ამასთან, სახელმწიფოთა ლიდერები, და აგრეთვე სხვა პოლიტიკოსები და მეცნიერები, რომლებიც აღიარებენ კანონის უზენაესობას საზოგადოებაში და სახელმწიფოში, ალბათ ამაში გულისხმობენ, რომ კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და ა. შ. არ უნდა იყოს უსამართლო, არ უნდა იყოს ანტიკონსტიტუციური, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის ინტერესებს.

თუმცა, ჯერ-ერთი, პრაქტიკაში არცთუ იშვიათად ადგილი აქვს წინააღმდეგობებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგჯერ ღებულობენ და უკანონოდ ფუნქციონირებს ისეთი კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და ა. შ., რომლებიც აშკარად ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და სამართლიან ინტერესებს, ხოლო ამ წინააღმდეგობათა დაძლევა შესაძლებელია ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის საფუძველზე, რამეთუ ამ თეორიის საფუძველზე ყველა კანონი და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი და ა. შ., და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოთა კონსტიტუციები, მოყვანილი უნდა იქნეს შესაბამისობაში ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების უზენაესობასთან.

და, მეორეც, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში – საზოგადოებაში და სახელმწიფოში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება – იურიდიული კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და ა. შ. არ შეიძლება წარმოადგენდეს თვითმიზანს, რამეთუ ისინი, ჩემი ღრმა რწმენით, წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს) მხოლოდ სოციალური მიზნის რეალიზაციის საშუალებებს – წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს) მხოლოდ ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – რეალიზაციის საშუალებებს, ხოლო საშუალებებს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში.

ამრიგად, კანონებს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში არა მარტო იმიტომ, რომ ზოგჯერ ღებულობენ და ფუნქციონირებს ისეთი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და ინტერესებს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კანონები იქმნება და ფუნქციონირებს ადამიანისათვის (ხალხისათვის), და არა ადამიანი იბადება და ცხოვრობს კანონებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული შეიძლება გამოხატულ იქნეს ჩემს მიერ შემუშავებული შემდეგი ფორმულით:

ადამიანის ინტერესების უზენაესობა:

ა (ადამიანი) – ბ (კანონი) – ა (ადამიანი),

და არა კანონის უზენაესობა:

ბ (კანონი) – ა (ადამიანი) – ბ (კანონი),

რამეთუ კანონი უნდა ემსახურებოდეს ადამიანს,

და არა ადამიანი კანონს.

ზემოთ მოყვანილი ფორმულა თვალნათლივ უჩვენებს, რომ კანონი იქმნება ადამიანის მიერ თვითონ ადამიანის ინტერესების რეალიზაციისათვის, ე. ი. ეს ფორმულა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონი არის მხოლოდ ადამიანის ინტერესების რეალიზაციის საშუალება, და ამიტომ კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა ადამიანზე.

მაშასადამე, ყველა კანონი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი საზოგადოებაში და სახელმწიფოში კიდევაც რომ ემსახურებოდეს ყოველი ადამიანის ინტერესებს – ხალხის ინტერესებს, მაშინაც კი ისინი (კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები) დარჩებოდა მხოლოდ ადამიანის ინტერესების რეალიზაციის საშუალებებად – დარჩებოდა მხოლოდ ხალხის ინტერესების უზენაესობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებებად.

ამიტომ, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, ჩემი ღრმა რწმენით, არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ადვილს ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში“ [4, გვ. 159-162].

ვუბრუნდები რა ისევ უშუალოდ მოსამართლეების თანამდებობებზე უვადოდ გამწესების საკითხს, მიმაჩნია, რომ ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი ლოგიკური კითხვა:

იქნებ მოსამართლეთა თანამდებობებზე უვადოდ გამწესების კონსტიტუციით დაკანონება მოხდა უცხოეთის სახელმწიფოებისათვის – *ეგრეთ წოდებული ცივილიზებული სამყაროსთვის* – მიბაძვის მიზნით?!

უცხოეთის სახელმწიფოების მიბაძვასთან დაკავშირებით *განსაკუთრებით გასათვალისწინებელია* დიდი ილია ჭავჭავაძის *სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ პროგრესული მოძღვრების გავლენამ მხოლოდ იმ მკვლევარს შეიძლება მოუტანოს სარგებლობა, ვინც ყოველი დასკვნა გაატარა თავისი კრიტიკის ქარცეცხლში და არ მიიღო და არ ირწმუნა ის ბრმად*” [11, გვ. 39-40].

* * *

სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემის გადაჭრის პრინციპული მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრების პროცესი, მათ შორის, სასამართლო სისტემაში.

სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით უდავო მხარდაჭერას იმსახურებს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ადრე – ამ ცვლილებების დასაწყისში – გამოთქმული მზადყოფნა, რომ მოხდეს სასამართლოების მიერ გამოტანილი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გადახედვა, რაც ბოლო ხანებში, რატომღაც, დაიბლოკა, და რომლის დაუყოვნებლივ განუხორციელებლობა კრიმინალი მოსამართლეების მხარდაჭერის ტოლფასი იქნება.

აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც უმოქმედობა – დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს (?!), რამეთუ კრიმინალების მიმართ უმოქმედობა – აშკარად დანაშაულებრივი ქმედებაა (?!).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ადამიანის – ხალხის – ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით ყოველად გაუმართლებელია, რომ სასამართლოების მიერ გამოტანილი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გადახედვა შეეხოს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს, და არ მოხდეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების გადახედვა, მით უმეტეს, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილი ყოველი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება ამ მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რაც უდავოდ უნდა განხორციელდეს, რათა სამართლიანობის აღდგენა და დამკვიდრება მხოლოდ ლოზუნგად არ დარჩეს.

ყოველად გაუმართლებლად მიმაჩნია აგრეთვე, რომ გადაიხედოს მხოლოდ სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლების ეხება დიდი ოდენობის თანხებს, მაგალითად, 100 000 ლარს, 200 000 ლარს და ასე შემდეგ, რამეთუ, ჯერ-ერთი, როგორც ცნობილია, ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი – ორივე ქურდია, და, მეორეც, ზოგიერთი ადამიანისთვის მისი კუთვნილი 100 ლარის დაბრუნება შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე სხვა ადამიანისთვის 100 000 ან 200 000 ლარის დაბრუნება.

და, რაც განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, სამართლიანობის დამკვიდრება მოითხოვს, რომ ყველა დაზარალებულის კანონიერი უფლებები და ინტერესები იქნეს დაცული, ხოლო ყველა დამნაშავე იყოს დასჯილი.

ამრიგად, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანობის აღდგენა და დამკვიდრება სამართლიანად და სამართლებრივად მოხდეს, რამეთუ სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი და, მათ შორის, მოსამართლეც, კანონის წინაშე თანასწორია!!!

სწორედ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციური და ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნა აუცილებელს ხდის თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანას იმ თვალსაზრისით, რომ კონსტიტუციურად ნამდვილად უზრუნველყოფილი იყოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე!!!

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა – სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა!!!

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
<http://www.ags.ge/wp-content/uploads/2010/12/saqarTvelos-axali-konstitucia.pdf>
2. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
3. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
4. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
<http://laws.codexserver.com/226.DOC>
6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/samoqalaqo_saproceso_kodeqsi.pdf.pdf
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaqo_kodeqsi.pdf
8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1992.
9. კურატაშვილი ალფრედ. *რა ცვლილებებია აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციაში და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში?! „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა*. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2010.
10. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია. *ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მეცნიერული მიმართულება* (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997.
11. Шадури В. Ленинградский университет и деятели грузинской культуры. Тбилиси: Издательство «Мерани», 1968.

შპპ 1+32+33+34+35

აღფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის Full პროფესორი საჯარო სამართალში, საერთაშორისო სამეცნირო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნირო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო
ვითომდა “არგუმენტებით”
კლიენტის დაცვა – სისხლისსამართლებრივად
დასჯადი დანაშაულია, მაგრამ... (!)**

*ვინ მისცა ადვოკატს თავხედური
კანონსაწინააღმდეგო ქმედებების უფლება?!*

ადამიანის უფლებები და, მათ შორის, სიტყვის თავისუფლება – თავისუფლად ლაპარაკის უფლება – სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ადამიანებს, და, მით უმეტეს, იურისტებს, თანაც ადვოკატებს, კანონსაწინააღმდეგოდ ლაპარაკის უფლება ჰქონდეთ სასამართლო პროცესებში თავისი კლიენტების – მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა – დასაცავად, არ ნიშნავს იმას, თითქოს ადვოკატებს უფლება ჰქონდეთ სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში აპელირებდნენ და მანიპულირებდნენ კანონსაწინააღმდეგო, სრულიად უსაფუძვლო ვითომდა “არგუმენტებით” (!).

დაუსჯელობით გათავხედებული ზოგიერთი ადვოკატის ასეთი ქმედებები ხომ აშკარა დანაშაულია (!).

ამრიგად, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს იმის არა მარტო “მტკიცების” მცდელობა, არამედ გააზრებაც კი, რომ თითქოს ადვოკატებს უფლება აქვთ ნებისმიერი ხერხის გამოყენებით დაიცვან თავისი კლიენტები, ანუ თითქოს ადვოკატებს უფლება აქვთ, რომ თავისი კლიენტების დასაცავად გამოიყენონ ყველანაირი მანიპულაციები სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად (!).

ადვოკატების ზემოაღნიშნული ქმედებები, ჯერ-ერთი, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით უსინდისობაა და, ამავე დროს, სიმართლისა და სამართლის მაძიებელი დაზარალებული მოსარჩელისა და სასამართლოს შეურაცხყოფის აშკარა მაგალითია.

და, მეორეც, ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიციებიდან და, საერთოდ, სამართლებრივი თვალსაზრისით – ასეთი საქციელი უდავოდ თაღლითურ და სხვა არაერთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს, რაც

სისხლისსამართლებრიად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაუსჯელობით გათავხედებული ზოგიერთი ადვოკატის დანაშაულებრივი ქმედებები უსასრულოდ გრძელდება (?!).

განსაკუთრებით გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ დაუსჯელობით ფრთებშესხმული და გათავხედებული ზოგიერთი ადვოკატის კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალურ – ქმედებებზე არაერთი მოსამართლის არა მარტო დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, არამედ აგრეთვე გარკვეული მოსამართლეების მხრიდან ასეთი ადვოკატების მხარდაჭერის გამო – ამ ადვოკატების მიერ წამოყენებული სრულიად უსაფუძვლო, ყოველგვარ მტკიუცებულებას მოკლებული ვითომდა “არგუმენტების” უსაფუძვლო “საფუძველზე” მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანის გამო – ზოგიერთი ადვოკატის დანაშაულებრივ ქმედებებს საზღვარი არა აქვს (?!).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 1, პუნქტი 2) [1], ადვოკატი “ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს”, და ამავე კანონის 21¹ მუხლის 1 პუნქტის თანახმად ადვოკატს დადებული აქვს ფიცი, რომ იქნება “სამართლიანობის იდეების ერთგული” და რომ კეთილსინდისიერად დაიცავს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს [1].

ნუთუ არ არის ეს ცნობილი ადვოკატებისთვის და მოსამართლეებისთვის, და ნუთუ არ ეშინიათ ადვოკატებს, რომ კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საწინააღმდეგო ქმედებების გამო მათ, როგორც მინიმუმი, აეკრძალებათ საადვოკატო საქმიანობის განხორციელება?

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ ადვოკატები იყვნენ სამართალდამცავები, ზოგიერთი მათგანი სასამართლოში გამოდის აშკარად კანონსაწინააღმდეგო თითქოსდა “არგუმენტებით”, რითაც ცდილობს შეცლომაში შეიყვანოს სასამართლო და მიაღებინოს მას კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – გადაწყვეტილება (?!).

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ადვოკატი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მაშასადამე, ადვოკატების კანონსაწინააღმდეგო ქმედებები აღნიშნულ შემთხვევებში აშკარად სახეზეა, რამეთუ ადვოკატებს უფლება აქვთ დაიცვან თავისი კლიენტები მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში.

ამიტომ, ადვოკატთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო – დანაშაულებრივი – ქმედებები მოითხოვს მათთვის ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრებას, როგორც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე იმ სამართლებრივი მექანიზმების საფუძველზე, რომლებიც შემუშავებული და ამოქმედებული უნდა იქნეს ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [2].

ზოგიერთი ადვოკატის სრულიად უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტებით” თავისი კლიენტის დაცვის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს შემდეგი ფაქტი:

როგორც ცნობილია, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად: “შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით” [3].

ამასთანავე, საქართველოს შრომის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად: “შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივი დაწყების მომენტიდან” [3].

მაშასადამე, თუ პიროვნებასთან დადებულია ზეპირი შრომითი ხელშეკრულება, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მასთან არ არის გაფორმებული წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, ეს პიროვნება ასრულებს გარკვეულ სამუშაოს და ღებულობს შესაბამის ანაზღაურებას, ანუ ზეპირი შრომითი ხელშეკრულების არსებობის უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პიროვნება ასრულებს სამუშაოს და ღებულობს შესაბამის ხელფასს მასთან წერილობით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გარეშე.

პიროვნებასთან ზეპირი შრომითი ხელშეკრულების არსებობა წარმოადგენს აგრეთვე იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ ამ შემთხვევაში მასთან არ არსებობს წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, რამეთუ ზეპირი შრომითი ხელშეკრულება სწორედ იმიტომ არის ზეპირი ხელშეკრულება, რომ ის წერილობით არ არის გაფორმებული, რამეთუ შრომითი ხელშეკრულება წერილობით რომ იყოს გაფორმებული, მაშინ ის ზეპირი შრომითი ხელშეკრულება არ იქნებოდა.

ამრიგად, თუ პიროვნება, მაგალითად, 2013 წლის იანვრიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით მუშაობდა (აგრძელებდა მუშაობას) ერთ-ერთ უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე და ღებულობდა შესაბამის ანაზღაურებას ისე, რომ მასთან წერილობითი შრომითი ხელშეკრულება არ ყოფილა გაფორმებული, ეს იმის უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს, რომ მასთან დადებული იყო ზეპირი შრომითი ხელშეკრულება.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, იმის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, რომ უნივერსიტეტს 2013 წლის მაისის ბოლოს შეეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება ამ პროფესორთან თითქოსდა იმ “მიზეზით”, რომ მან ხელი არ მოაწერა წერილობით შრომითი ხელშეკრულებას, რამეთუ, როგორც უკვე აღინიშნა, ეს პროფესორი 2013 წლის იანვრიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით მუშაობდა (აგრძელებდა მუშაობას) უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე და ღებულობდა შესაბამის ანაზღაურებას, რის გამოც წერილობით შრომით ხელშეკრულებაზე მისი მხრიდან ხელის მოწერის არავითარი საჭიროება არ არსებობდა (რომ აღარაფერი ვთქვათ იმზე, რომ წინა რიცხვით – 2012 წლის 31 დეკემბრით – ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დანაშაული იქნებოდა).

ამასთანავე, სწორედ ზემოაღნიშნული სრულიად აბსურდული ვითომდა “მიზეზით” უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნულ პროფესორთან სრულიად უსაფუძვლოდ და კანონსაწინააღმდეგოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, ამ პროფესორის მხრიდან სასარჩელო დავის საგანი გახდა.

მიუხედავად ანბანური ჭეშმარიტებისა, რომელიც გასაგები და ცხადზე ცხადი უნდა იყოს არა მარტო ნებისმიერი იურისტისათვის და, მით უმეტეს, ნებისმიერი მოსამართლისა და ადვოკატისათვის, არამედ ნებისმიერი არასრული საშუალო განათლების მქონე ნორმალური ადამიანისათვის, ზოგიერთი ადვოკატი თავგამოდებით, თავხედურად და უსინდისოდ ცდილობს “დაამტკიცოს” სასამართლო პროცესზე სრული უაზრობა, რომ თითქოს ზეპირი ხელშეკრულება საერთოდ არ არსებობს (?!), ანდა, რომ თითქოს ზეპირი ხელშეკრულება წერილობით უნდა იყოს გაფორმებული (?!), ანდა, რომ თითქოს შეუძლებელია პიროვნებასთან არსებობდეს ზეპირი ხელშეკრულება, თუ ამ დაწესებულებაში სხვა პირთან არ არის დადებული ზეპირი ხელშეკრულება (?!) და ა.შ., რაც აგრეთვე სრული აბსურდია, მაგრამ რასაც – ამ უაზრობას – ისეთი განსაკუთრებული “ყურადღებით” ისმენს მოსამართლე, თითქოს ადვოკატი სიბრძნეს აფრქვევდეს (?!), ნაცვლად იმისა, რომ მოსამართლემ მკვეთრად აღკვეთოს ადვოკატის სრულიად აბსურდული, კანონსაწინააღმდეგო, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ვითომდა “მსჯელობა”, ფაქტობრივად კი გაუგონარი უაზრობა და სისულელე (?!).

განა შეიძლება ასეთი აღვირაზნინილი, გათავხედებული “ადვოკატების”, ფაქტობრივად კი კრიმინალების დანაშაულებრივი თარეში სასამართლო პროცესებზე, რომელიც მიმართულია დანაშაულებრივი ქმედებების დასაცავად ?!

ნუთუ ადვოკატები, რომლებიც სამართალდამცველები უნდა იყვნენ, სასამართლო პროცესებზე კრიმინალების კრიმინალური ქმედებების დამცველებად უნდა გვევლინებოდნენ?!

ეს არის სამართლიანობა და სამართალი?!

ზოგიერთი ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის დასაცავად სრულიად უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგო ცარიელი სიტყვებით მანიპულირების ერთ-ერთ უდავო მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე შემდეგი ფაქტი:

ზემოაღნიშნული პროფესორისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მეორე ვითომდა “მიზეზად” უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა გამოიყენეს მათ მიერ კანონსაწინააღმდეგოდ სტატუსს შეჩერებული დოქტორანტების აღდგენისათვის დასკვნაზე პროფესორის – ამ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელის – მხრიდან ხელის მოწერაზე უარი, რითაც თავის დანაშაულს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სრულიად უსაფუძვლოდ პროფესორს აბრალებს, რამეთუ პროფესორი ვერ მოაწერდა და არც მოვაწერდი ხელს ფაკულტეტის დეკანატისა და მთლიანად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დანაშაულებრივ მოთხოვნას მისი დოქტორანტების – არა ნამდვილად აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამაზე, არამედ ყალბ ვითომდა “სადოქტორო პროგრამაზე” (რომელსაც უნივერსიტეტში შესაბამისი აუცილებელი

განხილვებიც კი არ გაუვლია, და რომელიც უნივერსიტეტის მიერ წარდგენილიც კი არ ყოფილა აკრედიტაციისათვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში) აღსადგენად.

ამრიგად, სტატუს შერეებული დოქტორანტების აღდგენისათვის ყალბი ვითომდა აკრედიტებული “სადოქტორო პროგრამის” შესაბამისად ფაკულტეტის ხელმძღვანელების მიერ მომზადებულ დანაშაულებრივ დასკვნაზე პროფესორის მხრიდან ხელის მოწერაზე უარი სულაც არ წარმოადგენს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას.

მამასადამე, აღნიშნული პროფესორისთვის ამის გამო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სრულიად უსაფუძვლოა, რამეთუ მისი მიერ ყალბ ვითომდა “სადოქტორო პროგრამაზე” დოქტორანტების აღსადგენად დასკვნაზე ხელის მოწერა დანაშაული იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი გათავხედებული ადვოკატები თავს უფლებას აძლევენ, რომ კანონსაწინააღმდეგოდ სრულიად უსაფუძვლოდ უარყონ ნამდვილად აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის დამადასტურებელი უტყუარი ოფიციალური მტკიცებულებები, და კრიმინალების მხარდაჭერის მიზნით ყალბი ვითომდა “სადოქტორო პროგრამა” ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე აკრედიტებულად გამოაცხადონ (!!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (!!).

ზოგიერთ ადვოკატთა დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მრავალ ფაქტთან ერთად არსებობს აგრეთვე ერთ-ერთი უტყუარი ფაქტი, როდესაც მოპასუხის ადვოკატმა და, საერთოდ, მოპასუხის წარმომადგენლებმა (იურისტებმა), რომლებსაც მოსარჩელის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება და არანაირი არგუმენტი არ გააჩნდათ, სასამართლო სხდომაზე მიმართეს მოსარჩელის ცრუ დასმენას, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია (საქ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 373), და რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე [4].

კერძოდ, მოპასუხის ადვოკატი და, საერთოდ, მოპასუხის წარმომადგენლები (იურისტები), რომლებსაც უდავოდ კანონიერი სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება და არგუმენტი არ გააჩნდათ, რის გამოც, სასამართლოს მიერ კანონიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განწირულნი იყვნენ დასამარცხებლად, სასამართლო სხდომაზე ცდილობდნენ ცრუ დასმენების გზით, რომელიც სასარჩელო საქმეს არც კი ეხებოდა, მოეხდინათ მოსარჩელის დისკრედიტაცია და მისი მორალური რეპუტაციის შელახვა, და დანაშაულებრივი ქმედებით ცრუ დასმენის გზით ცდილობდნენ მოსამართლის თვალში მოსარჩელეს გამოცხადებას დამნაშავედ, რათა ფსიქოლოგიურად ემოქმედად სასამართლოზე და მოსამართლისთვის მიეღებინებინად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც მოსარჩელეს იმის უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდა, რომ მოპასუხის

ადვოკატის (წარმომადგენლების) მხრიდან ნამდვილად ადგილი ჰქონდა ცრუ დასმენას (?!).

ასე, მაგალითად, მოპასუხის ადვოკატები (წარმომადგენლები) სრულიად უსაფუძვლო, ყალბი, თავხედური, დანაშაულებრივი, დემაგოგიური რიტორიკის გზით ცდილობდნენ სასამართლო პროცესებზე მოსარჩელის ცრუ დასმენას, თითქოსდა ის (პროფესორი – დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი) წინა წლებში დოქტორანტებთან მეცადინეობებს არ ატარებდა, რაც, *ჯერ-ერთი*, სასარჩელო საქმეს არ ეხებოდა, *რის გამოც მოსამართლეს ადვოკატებისათვის ამ საკითხზე ლაპარაკის უფლებაც კი არ უნდა მიეცა*, და, *მეორეც*, ეს იყო სრული აბსურდი, რამეთუ აღნიშნულ პროფესორს დოქტორანტებთან ყველა მეცადინეობა ჩატარებული ჰქონდა, რაც დაადასტურეს მოპასუხის ინცივიტით სასამართლო სხდომაზე (*თუმცა სხვა სასარჩელო საქმეზე*) მოწმის სახით გამოსულმა დოქტორანტებმაც.

ამასთანავე, მოსარჩელის ცრუ დასმენის ფაქტს უდავოდ დასტურებს აღნიშნული პროფესორის მიერ ფაკულტეტის მაშინდელი დეკანის (*ხოლო ამჟამად უნივერსიტეტის პრორექტორის*) მხრიდან მიღებული, მისი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული სათანადო დეტალური მტკიცებულებები – ოფიციალური ცნობები – ამ პროფესორის მიერ დოქტორანტებთან ჩატარებული მეცადინეობების შესახებ.

და *საერთოდ*, აღნიშნულ პროფესორს რომ დოქტორანტებთან მეცადინეობები არ ჩატარებინა, მაშინ მასზე ხელფასს უნივერსიტეტი არაფრით არ გასცემდა, მით უმეტეს, ამ პროფესორის მიერ მოპასუხე უნივერსიტეტის ხელმძღვანელების დანაშაულებრივი ქმედებების არაერთხელ მხილების გამო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოპასუხის ადვოკატთა მხრიდან აღნიშნული პროფესორის ცრუ დასმენას სასამართლო პროცესებზე.

უფრო მეტიც, აღნიშნულ პროფესორს სათანადო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის) დებულების თანახმად იმის უფლებაც ჰქონდა, რომ დოქტორანტებთან მეცადინეობები ჩამეტარებინა ონლაინ რეჟიმში, რასაც ის მხოლოდ დამატებით იყენებდა.

მაშასადამე, არა მარტო აღნიშნული პროფესორის სასარჩელო საქმესთან დაკავშირებით, არამედ საერთოდ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამ პროფესორის მიმართ სადავო არაფერი არ არსებობს, რის გამოც მოპასუხის ადვოკატებს მოსარჩელე პროფესორის ცრუ დასმენისათვის პასუხი აუცილებლად მოეთხოვებად.

სწორედ ასეთ და სხვა მრავალ დანაშაულებრივ ქმედებებთან გვაქვს საქმე ზოგიერთი ადვოკატის მხრიდან.

ამრიგად, ზოგიერთი ადვოკატები ცალკეულ შემთხვევებში გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ვითომდა „არგუმენტებით“ დაზარალებული მოსარჩელის წინააღმდეგ, რომელიც ტრეფიკინგის – ეკსპლუატაციის „ახალი“ „შემოქმედებითი მეთოდის“ გამოყენების – მსხვერპლი აღმოჩნდა გარკვეული თანამდებობის პირების მხრიდან, და რომელიც სამართლიანად მოითხოვს თავისი

კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

მაგრამ იმ ადვოკატთაგან, ვინც სასამართლოში იყენებს კანონსაწინააღმდეგო ვითომდა „არგუმენტებს“, არავის არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მის უფლებებთან და მოვალეობებთან, რომელთა თანახმად ადვოკატი უნდა იყოს სამართალდამცველი (და არა უსამართლობის – კრიმინალური ქმედებების – დამცველი), და ის უნდა იცავდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფთ მხოლოდ კონსტიტუციური, სამართლებრივი მეთოდებით, ნაცვლად იმისა, რომ ცდილობდეს სასამართლოს შეცდომაში შეყვანას კანონსაწინააღმდეგო ვითომდა „არგუმენტების“ გამოყენებით, რამეთუ ეს უდავოდ წარმოადგენს კრიმინალურ ქმედებას.

ნუთუ ადვოკატი – სამართალდამცველი – არ უნდა ითვალისწინებდეს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად (მუხლი 6, ნაწილი 1): „რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“ [5].

ვინ მისცა ადვოკატს თავზედური კანონსაწინააღმდეგო ქმედებების უფლება?! ზოგიერთ ადვოკატს საადვოკატო საქმიანობა – “ბრძოლა წესების გარეშე” ხომ არ ჰგონია?! როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ასეა (?!).

ზემოაღნიშნული სრულიად დაუშვებელი ვითარებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ადვოკატის მხრიდან კრიმინალური ქმედებების დაძლევისა და აღკვეთის მიზნით, ადვოკატთა მიმართ სრულფასოვნად უნდა იქნეს ამოქმედებული არსებული კანონმდებლობა, და აგრეთვე, როგორც უკვე გაესვა ამას ხაზი, ჩემს მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [2] უნდა შემუშავდეს არა მარტო მოსამართლეების, არამედ აგრეთვე ადვოკატების პასუხისმგებლობის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ამ პირთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობა.

აღნიშნულ სამართლებრივ მექანიზმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადვოკატთა (და, საერთოდ, იურისტთა) პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან და მოვალეობებთან იმ მიზნით, რომ სასამართლო გარჩევებში კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტებით” ადვოკატების მხრიდან მანიპულირების შემთხვევაში, ამ ადვოკატებს ეკისრებოდეთ შესაბამისი, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონსაწინააღმდეგო – სისხლისსამართლებრივად – დასჯადი ქმედებებისათვის.

კერძოდ, ახალ სამართლებრივ მექანიზმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ადვოკატები (და, საერთოდ, იურისტები), სასამართლო გარჩევებში კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტებით” გამოსვლის შემთხვევაში:

ჯერ-ერთი, სულ მცირე, აუცილებლად უნდა კარგავდნენ მომავალში სასამართლო გარჩევებში ადვოკატების სახით და ა.შ. მონაწილეობის უფლებას, ანუ სასამართლო პროცესებში მათ მონაწილეობის მიღება უნდა შეეძლოდ მხოლოდ ბრალდებულების სახით.

და, *მეორეც*, ადვოკატებს (და, საერთოდ, იურისტებს) უნდა დაეკისროდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათი კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არგუმენტების” გავლენის შედეგად სასამართლომ მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

ამასთანავე, ეს სულაც არ ამართლებს და ვერც გაამართლებს სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, პირიქით, რამეთუ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია, ისინი უნდა იყვნენ კომპეტენტურები და სამართლიანები, რათა არ ღებულობდნენ კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალურ, *სისხლისსამართლებრივად დასჯად* – გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება უშუალოდ მოსამართლის პასუხისმგებლობას, მოსამართლე, *ასეთ შემთხვევაში*, არა მარტო განთავისუფლებული უნდა იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, არამედ, გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დაეკისროს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამეთუ მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება – ეს არის მის მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება და ა.შ., რაც, *უდავოდ*, სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 332, 333) [4].

და ბოლოს, ზოგიერთი ადვოკატის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ დავსვა ზემოთ უკვე დასმული კითხვა:

ვინ მისცა ადვოკატს თავხედური კანონსაწინააღმდეგო ქმედებების უფლება?!

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “ადვოკატთა შესახებ”. მიღებულია 2001 წლის 20 ივნისს. http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf
2. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
3. საქართველოს შრომის კოდექსი. 2006 წლის 25 მაისი. <http://www.useug.com/1909.pdf>
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1155567#
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი: მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს. http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
5. საქართველოს სამოქალაქო სასაპროცესო კოდექსი. 1997 წლის 14 ნოემბერი. http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/samoqalaqo_saproceso_kodeqsi.pdf.pdf

შპპ 1+32+33+34+35

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის Full პროფესორი საჯარო სამართალში, საერთაშორისო სამეცნირო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნირო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სანკტ-პეტერბურგის კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

**სახელმწიფოში აზარტული “თამაშების”
დაშვება და “დაკანონება” –
ადამიანის უმთავრესი უფლებების
უსეში გათელვაა (!)**

*ბიზნესის ხელის შეწყობა
მნიშვნელოვანი და აუცილებელია,
მაგრამ ცალკეული პირების და
თუნდაც სახელმწიფოს გამდიდრებას
ადამიანები არ უნდა ეწირებოდნენ (!)*

სახელმწიფო – იგულისხმება არა ფულის, მოგების, კაპიტალის მონობაში მყოფი, არამედ ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფო – არსებობს (უფრო ზუსტად კი, უნდა არსებობდეს) ადამიანისათვის – ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

ამასთანავე, არც თუ უსაფუძვლოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ – კერძოდ კი, კაპიტალისტურ – სახელმწიფოებრივ სისტემაში, პირიქით, ადამიანი – ხალხი – არსებობს სახელმწიფოსათვის და ცალკეული პირების გამდიდრებისათვის, რაც, ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად დაუშვებელია, და რაც სრულიად უდავოდ ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აღნიშნული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის სიმახინჯესთან – მისი ფუნქციონირების სიმახინჯის აშკარა გამოვლინებასთან.

სწორედ კაპიტალიზმის სიმახინჯის უდავო გამოხატულება და ამ სიმახინჯის ერთ-ერთი უტყუარი დადასტურებაა აზარტული “თამაშების” დაშვება და “დაკანონება” სახელმწიფოში, რაც ადამიანების ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური განადგურების დაუნდობელ იარაღს და ადამიანის უმთავრესი უფლების – *სიცოცხლის უფლების* – უხეშ გათელვას წარმოადგენს (!).

ზემოაღნიშნულიდან, ლოგიკურად და სამართლებრივად მივდივართ იმ მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ *სახელმწიფოში* აზარტული ეგრეთ წოდებული “თამაშების”, ანუ ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის ფუნქციონირების დაშვება და “დაკანონება” – უდავოდ ანტიკონსტიტუციური ქმედება, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების უხეში შელახვა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ სწრაფვა მოგებისაკენ – ფულის, მოგების, კაპიტალის მონობაში მყოფთათვის, რომლებმაც *სახელმწიფოც* დაიდორჩილეს და მას შესაბამისი კანონებიც შეაქმნევინეს და მიაღებინეს, ადამიანები – როგორც ადამიანები, თავისი მოთხოვნილებებით, მიზნებით, ინტერესებით, მისწრაფებებით – არარაობას წარმოადგენენ (?!).

თუმცა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მათთვის – ფულის, მოგების, კაპიტალის მონობაში მყოფთათვის – ჩვეულებრივი ადამიანები წარმოადგენენ მხოლოდ საშუალებას, რომელიც მათ შეუძლიად გამოიყენონ საკუთარი წმინდა ეკონომიკური მიზნების მისაღწევად (?!).

* * *

ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვისა და ხალხის ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე, სახელმწიფოსათვის აზარტული ეგრეთ წოდებული “თამაშების”, ანუ ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის პრობლემასთან დაკავშირებით უდავოდ და განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია პასუხის გაცემა ჩემს მიერვე დასმულ სამ კითხვაზე:

1. რატომ არის სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის ფუნქციონირების დაშვება და “დაკანონება” – ანტიკონსტიტუციური ქმედება?!

2. რატომ არის სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის ფუნქციონირების დაშვება და “დაკანონება” – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაული?!

3. სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის ფუნქციონირების აკრძალვა ხომ არ იქნება ბიზნესის შეზღუდვა, და ხომ არ ჩაითვლება ის ანტისაბაზრო ქმედებად?!

პირველი კითხვაზე პასუხი, ჩემი ღრმა რწმებით, მდგომარეობს შემდეგში:

სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის ფუნქციონირების დაშვება და “დაკანონება” იმიტომ არის ანტიკონსტიტუციური ქმედება, რომ ადამიანის უმთავრესი უფლებაა – სიცოცხლის უფლება, რაც სათანადოდ არის ასახული სახელმწიფოთა კონსტიტუციებში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: “სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი” [1], ხოლო აზარტული ეგრეთ წოდებული “თამაშები” იწვევს ადამიანის დეგრადაციას და გაღატაკებას, ხალხის ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ გენოციდს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ადამიანების სიცოცხლის მოსპობას, და რაც, გარდა ანტიკონსტიტუციურობისა, აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (მუხლი 3), რომლის თანახმად „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის... უფლება“ [2, გვ. 7].

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სახელმწიფოში აზარტული ეგრეთ წოდებული „თამაშების“ დაშვება და „დაკანონება“ ფაქტობრივად იგივეა, რომ დაშვებული და „დაკანონებული“ იქნეს ნარკოტიკებით ვაჭრობა (?!), რაც არა ცივილიზებულად წოდებულ, არამედ ჭეშმარიტად ცივილიზებულ საზოგადოებაში და ჭეშმარიტად ცივილიზებულ სახელმწიფოში, ანუ იმ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, რომელიც ადამიანის – ხალხის – ინტერესებს ემსახურება (და რაც, *ჩემი ღრმა რწმენით, ცივილიზებულობის უმთავრეს კრიტერიუმად უნდა ითვლებოდეს*), ყოველად წარმოუდგენელია.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ „განვითარებულ“ სახელმწიფოში, *სამწუხაროდ და სრულიად უსაფუძვლოდ*, როგორც აზარტული ეგრეთ წოდებული „თამაშები“, ისე ნარკოტიკებით ვაჭრობა და მისი მოხმარება, და აგრეთვე ზოგიერთი სხვა მახინჯი – არანორმალური, უზნეო, სამარცხვინო – მოვლენები, რომელთა საჯაროდ დასახელებაც კი დიდ უხერხულობას და ზიზღს უნდა იწვევდეს – „ცივილიზებულობის“ მაჩვენებელი ჰგონიად (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული „სათამაშო“ ბიზნესის ფუნქციონირების დაშვება და „დაკანონება“ ანტიკონსტიტუციურ ქმედებას წარმოადგენს, რამეთუ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლება ფაქტობრივად ანტიკონსტიტუციურად „აკანონებს“ ადამიანის მორალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ განადგურებას.

მეორე კითხვის პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული „სათამაშო“ ბიზნესის, ანუ აზარტული ეგრეთ წოდებული „თამაშების“ ფუნქციონირების დაშვება და „დაკანონება“ უდავოდ სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, რაც კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 333)[3], რამეთუ თანამდებობის პირებს არავითარი უფლება არა აქვთ, რომ სახელმწიფოში დაუშვან აზარტული ეგრეთ წოდებული „თამაშების“ ფუნქციონირების შესაძლებლობა და „შექმნან“ შესაბამისი უსამართლო – ვითომდა „სამართლებრივი“ საფუძვლები, რადგან ყველასთვის ცხადზე ცხადი უნდა იყოს, რომ თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივი) მოქმედება ან კანონსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივი) უმოქმედობა – მათ მიერ კრიმინალურ ქმედებას და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას წარმოადგენს, რაც სათანადო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს.

უფრო მეტიც, ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე, *ჩემი ღრმა რწმენით*, ნებისმიერ სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული „სათამაშო“ ბიზნესის, ანუ აზარტული ეგრეთ წოდებული „თამაშების“ ფუნქციონირების დაშვება და „დაკანონება“ კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც საერთაშორისო დანაშაული [4] – როგორც „საერთაშორისო დანაშაულის ერთ-ერთი

კატეგორია, რომელიც გამოიკვეთა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით (8.VIII.1945)...“ [5] – როგორც დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 408) [3], ანუ მსოფლიო მასშტაბით უნდა გამოცხადდეს დაუნდობელი ბრძოლა ამ თვისებრივად ახალი ფორმით ხალხის (ხალხების) გენოციდის დაშვების, „დაკანონებისა“ და პრაქტიკული განხორციელების წინააღმდეგ!!!

რაც შეეხება პასუხს მესამე კითხვაზე – „სახელმწიფოში ეგრეთ წოდებული “სათამაშო” ბიზნესის ფუნქციონირების აკრძალვა ხომ არ იქნება ბიზნესის შეზღუდვა, და ხომ არ ჩაითვლება ის ანტისაბაზრო ქმედებად?!“, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ბიზნესის შეზღუდვა საერთოდ დაუშვებლად მიმაჩნია, თუ ის, საბოლოო ჯამში, ხალხის ინტერესებს არ ემსახურება.

მაშასადამე, ბიზნესი არის (უნდა იყოს) არა თვითმიზანი, არამედ ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაციის საშუალება.

აქედან გამომდინარე, ისეთი ბიზნესი, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს და იწვევს ადამიანების – ხალხის – ეკონომიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ განადგურებას, არა მარტო უნდა შეიზღუდოს, არამედ უმკაცრესად უნდა აიკრძალოს, რამეთუ ბიზნესი არსებობს (უნდა არსებობდეს) ადამიანისათვის – ხალხისათვის, და არა ადამიანი – ბიზნესისათვის.

იგივე უნდა ითქვას თითქოსდა შესაძლო „ანტისაბაზრო ქმედებაზე“. კერძოდ, ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი საბაზრო ურთიერთობების ეფექტიან ფუნქციონირებას ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

მაგრამ თუ საბაზრო ურთიერთობები კონკრეტულ შემთხვევაში გამიზნულია მხოლოდ მოგებაზე და იწვევს ადამიანების – ხალხის – ეკონომიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ განადგურებას, მაშინ ასეთი ბაზარი – ასეთი საბაზრო ურთიერთობები – არა მარტო უნდა შეიზღუდოს, არამედ უდავოდ უნდა აიკრძალოს, რამეთუ ბაზარი არსებობს (უნდა არსებობდეს) ადამიანისათვის – ხალხისათვის, და არა ადამიანი – ბაზრისათვის.

და საერთოდ, როგორც მე ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში ვწერდი, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს მშენებლობისათვის ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურებიან ადამიანის – ხალხის – ინტერესებს, და თუ ამავე დროს გამორიცხავენ ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს [6, გვ. 93].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიადამიანური, ანტისოციალური, ანტიჰუმანური, ანტიზნეობრივი ბიზნესის აკრძალვის შემთხვევაში, რაც უდავოდ განსახორციელებელია, სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე ბიზნესმენების ინტერესები და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს მათ – სოციალურად გამიზნული და ზნეობრივად გამართლებული ბიზნესის კეთებაში და განვითარებაში.

* * *

ამრიგად, აზარტული ეგრეთ წოდებული “თამაშები”, ანუ ეგრეთწოდებული “სათამაშო” ბიზნესი სინამდვილეში მართლა “თამაშები” და მართლა “სათამაშო” ბიზნესი კი არ არის, არამედ ადამიანების ეკონომიკური, მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური განადგურების დაუნდობელი იარაღია, რაც კაპიტალიზმის მახინჯი ბუნების აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს.

ამასთანავე, თანამედროვე პირობებშიც კი ბევრ ადამიანს (*მათ შორის, მეცნიერების სფეროს წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს*), რომლებიც ვერ გარკვეულან კაპიტალიზმის ჭეშმარიტ არსში და მის ბუნებაში, კაპიტალიზმი კერძო საკუთრება და საბაზრო ურთიერთობები ჰგონიათ (?!), რაც მარკსისტულ სრულიად უსაფუძვლო დოგმას წარმოადგენს (?!).

ამის პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ, *ჩემი ღრმა რწმენით*, კაპიტალიზმის ჭეშმარიტი არსი – კერძო საკუთრება და საბაზრო ურთიერთობები კი არ არის, არამედ ადამიანზე – ხალხზე – ბაზრის, ფულის, კაპიტალის ბატონობაა, რის გამოც კაპიტალიზმი მართლაც მახინჯ საზოგადოებრივ-სახელმწიფებრივ სისატემას წარმოადგენს.

ამრიგად, კაპიტალიზმი არის – არა უბრალოდ და არა მარტო კერძო საკუთრება და საბაზრო ურთიერთობები, არამედ ეს არის ადამიანზე – ხალხზე – ბაზრის, ფულის, კაპიტალის ბატონობა, რის გამოც კაპიტალიზმი არის სწორედ ანტიისოციალური და ანტიზნეობრივი – ნამდვილად მახინჯი პოლიტიკური სისტემა (?!).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იმ მრავალ თვალსაჩინო მაგალითთაგან, რომლებიც ადასტურებენ კაპიტალიზმის ანტიადამიანურ, ანტიზნეობრივ – მახინჯ – ბუნებას, ერთ-ერთ უდავო მაგალითს მხოლოდ ისიც კი წარმოადგენს, რომ სწორედ კაპიტალიზმის ეკონომიკური გამიზნულობის შედეგად – კაპიტალიზმის პირობებში ადამიანზე ბაზრის, ფულის, კაპიტალის ბატონობის შედეგად – კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადგილი აქვს სახელმწიფოს მიერ ანტიკონსტიტუციურად, დანაშაულებრივად “დაკანონებულ” ადამიანების ძარცვას და განადგურებას, აზარტულ “თამაშებში” მათი კანონსაწინააღმდეგოდ ჩართვის გზით (?!).

ტოტალიზატორებში, კაზინოებში და ა. შ. (მათ შორის, ინტერნეტის საშუალებით) ხომ ფაქტობრივად ადგილი აქვს სწორედ ხალხის – ადამიანების – უკანონოდ “დაკანონებულ” ძარცვას.

უფრო მეტიც, აზარტული “თამაშები” – ეს არის არა მარტო ადამიანების “დაკანონებული” ძარცვის იარაღი, არამედ ეს არის აგრეთვე მათი გაბრიყვების და ეკონომიკური, მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური განადგურების იარაღი, რომელიც გამოიყენება ამ ადამიანების აზარტული ეგრეთ წოდებული “თამაშებით” ფსიქოლოგიური “მოწამვლის” გზით.

ამრიგად, აზარტული “თამაშები”, გარდა ადამიანების “დაკანონებული” ძარცვის იარაღისა – ეს არის ადამიანების არა მარტო ეკონომიკური, არამედ

აგრეთვე ფსიქოლოგიური და ფიზიკური განადგურების იარაღი, რამეთუ არსებობს მრავალი მაგალითი, როდესაც ადამიანები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) აზარტულ “თამაშებში” აგებენ მთელ თავის ქონებას (მათი მშობლების და ა. შ. ქონების ჩათვლით), იღებენ ვალებს, აღმოჩნდებიან უმძიმეს – გამოუვალ – მღვომარეობაში და თვითმკვლელობითაც კი ამთავრებენ სიცოცხლეს (!!).

და ყოველივე ამის დაშვება ხდება სწორედ კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა ადამიანის ინტერესების ბატონობა, არამედ ადამიანზე ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობა, რის შედეგადაც კიდევ ერთხელ უდავოდ დასტურდება ის უტყუარი ფაქტი, რომ ჭეშმარიტი კაპიტალიზმი არის ანტიადამიანური, ანტიზნეობრივი – მახინჯი – პოლიტიკური სისტემა, რამეთუ კაპიტალისტურ სახელმწიფოში კაპიტალისტების და მათი მიმდევრების სწრაფვას – რაც შეიძლება მეტი ფულის, რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებისაკენ, რაც შეიძლება მეტი კაპიტალის დაგროვებისაკენ, ეწირებიან მრავალი ადამიანები (!!).

მაშასადამე, პოლიტიკური სისტემა, რომლის მიერ არა მარტო არ არის აკრძალული, არამედ ფულისათვის, მოგებისათვის, კაპიტალისათვის, კაპიტალისტური “ბიზნესისათვის”, და თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისათვის, ნებადართულია ტოტალიზატორების, კაზინოების და ა. შ. ფუნქციონირება, რომლებითაც ხდება თავისი (ამ სახელმწიფოში მაცხოვრებელი) ადამიანების – თავისი საკუთარი ხალხის – ფსიქოლოგიური მოწამვლა და ეკონომიკური (და აგრეთვე ფიზიკური) განადგურება, ნამდვილად არის ანტიადამიანური, ანტიზნეობრივი – მახინჯი – პოლიტიკური სისტემა.

აღსანიშნავია, რომ ეს არის კაპიტალისტური წყობილების, კაპიტალისტური ბაზრისა და კაპიტალისტური ბიზნესის ანტიადამიანური, ანტიზნეობრივი – მახინჯი – “თავისუფლების” მხოლოდ ერთ-ერთი “თვალსაჩინო” მაგალითი, ანუ ეს არის მაგალითი “თავისუფლებისა”, რომელიც ფსიქოლოგიურად სწამლავს და უმოწყალოდ შთანთქავს ადამიანებს და მთელ თაობებს (!!).

სწორედ ასეთია კაპიტალიზმი, მასში ადამიანზე – ხალხზე – ფულის, ბაზრის, მოგების, კაპიტალის ბატონობით (!!).

მაშასადამე, ჩემს მიერ შექმნილი ჭეშმარიტი კაპიტალიზმის თეორიის თანახმად, კაპიტალიზმის განმსაზღვრელი არსი – ეს არის არა კერძო საკუთრება და საბაზრო ურთიერთობები, არამედ არის – კაპიტალიზმის ფუნქციონირების ეკონომიკური მიზნობრივი მიმართულება, ანუ კაპიტალიზმის განმსაზღვრელი არსი – ეს არის ადამიანზე საშუალებათა ბატონობა (ადამიანზე საშუალებათა თვითმიზნის ბატონობა) საზოგადოებაში და სახელმწიფოში – ეს არის ფულის, ბაზრის, მოგების, კაპიტალის ბატონობა ადამიანზე – ხალხზე (!!).

კაპიტალიზმი – ეს არის პოლიტიკური წყობილება, ეს არის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა, სადაც ადამიანი განიხილება

როგორც აუცილებელი საშუალება, და სადაც ის ფაქტობრივად წარმოადგენს სწორედ ეკონომიკური მიზნის – *საშუალებათა ეკონომიკური თვითმიზნის* – რეალიზაციის საშუალებას (?!).

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ანუ “თუ კაპიტალიზმი ხალხის ინტერესებს ემსახურება, მაშინ ეს უკვე კაპიტალიზმი – კაპიტალ „იზმი“ (ეკონომიკური მიზნის „იზმი“, კაპიტალის ბატონობა) – არ არის, და, შესაბამისად, მას სხვა სახელი უნდა ეწოდებოდეს” [7, გვ. 121; და სხვა], *რაც მე მრავალჯერ აღმინიშნავს ჩემს სამეცნიერო შრომებში, და რაც ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.*

ასეთია კაპიტალიზმის ჭეშმარიტი არსის ჩემი მიუკერძოებელი და მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრა.

შესაბამისად, კაპიტალიზმის ჭეშმარიტი არსიდან გამომდინარე, კაპიტალისტად უნდა ითვლებოდეს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც გამდიდრდა ხალხის ძარცვის ხარჯზე, რომელიც არის ფულის მონა, არის ბაზრის მონა, არის მოგების მონა, არის კაპიტალის მონა, და რომელიც მისწრაფვის შემდგომი გამდიდრებისაკენ ისევ ხალხის ძარცვის ხარჯზე (?!).

ამასთანავე, *ჩემი ღრმა რწმენით*, სრულიად უსამართლოა, რომ ითვლებოდეს კაპიტალისტად – უბრალოდ მდიდარი ადამიანი, რომელიც გამდიდრდა თავისი სამეწარმეო უნარისა და ორგანიზატორული ნიჭის ხარჯზე – თავისი შემოქმედებითი ნიჭის ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე, და რომელიც, *საბოლოო ჯამში*, ემსახურება ხალხის ინტერესებს!!!

უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული მდიდარი ადამიანის მოღვაწეობა წარმოადგენს ჰუმანურობისა და ჰუმანიზმის მაჩვენებელს – წარმოადგენს მისი მოღვაწეობის ჰუმანოსოციალური მიმართულების მაჩვენებელს, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, და არა კაპიტალისტურობისა და კაპიტალიზმის გამოვლინების მაჩვენებელს, რამეთუ მის მიერ მიღებული მოგება მისთვის არის არა თვითმიზანი, არამედ სოციალური მიზნის რეალიზაციის – *ხალხის ინტერესების რეალიზაციის* – აუცილებელი საშუალება.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული მდიდარი ადამიანის მოღვაწეობა წარმოადგენს ჩემს მიერ შექმნილი და ჯერ კიდევ 1990 წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი თეორიის – კერძო საკუთრების სოციალური რეალიზაციის თეორიის [8] გამოვლინებას პრაქტიკაში!!!

დასკვნისას, ისევ კაპიტალიზმის მახინჯ ბუნებასთან დაკავშირებით, რომელიც ამ პოლიტიკური სისტემის აპოლოგეტებს თითქმის “სამოთხეთ” წარმოუდგენიათ და კაპიტალიზმისაკენ სწრაფვა – წინსვლა ჰკონიათ (?!), იბადება კიდევ ერთი (*უკვე მეოთხე*) კითხვა:

მაინც კონკრეტულად რაში გამოიხატება კაპიტალიზმის სიმახინჯე?!

პასუხი დასმულ კითხვაზე ზემოთ ჩემს მიერ უკვე იქნა გაცემული, მაგრამ ეს გაკეთდა მხოლოდ ერთ პრაქტიკულ მაგალითზე – კაპიტალისტურ სახელმწიფოში აზარტული ეგრეთ წოდებული “თამაშების” დაშვებისა და “დაკანონების” მაგალითზე, რაც ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და

ჭემმარიტად ადამიანურ სახელმწიფოში, ანუ იმ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, უნდა ითვლებოდეს სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულად, რამეთუ ამით “თავისუფლება” ეძლევა ადამიანებს (ადამიანთა ერთ ჯგუფს) – იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ ძარცვონ და ანადგურონ სხვა აგრეთვე “თავისუფალი”, მაგრამ აზარტული ვერეთ წოდებული “თამაშებით” შეპყრობილი და ფსიქოლოგიურად მოწამლული – ფაქტობრივად ავადმყოფი – ადამიანები (?!).

ამრიგად, ეს არის კაპიტალისტური პოლიტიკური სისტემის, კაპიტალისტური ბაზრისა და კაპიტალისტური ბიზნესის ანტიადამიანური, ანტიზნობრივი – მახინჯი – “თავისუფლების” მხოლოდ ერთი მაგალითი, ანუ ეს არის მაგალითი “თავისუფლებისა”, რომელიც სწამლავს და უმოწყალოდ ანადგურებს ადამიანებს და მთელ თაობებს (?!).

ამასთანავე, არსებობს კაპიტალიზმის სიმახინჯის ძალიან ბევრი სხვა მაგალითები, როდესაც ადამიანები ეწირებიან ფულის ბატონობას, მოგების ბატონობას, კაპიტალის ბატონობას სახელმწიფოში, რაზედაც მე მრავალჯერ ვწერდი ჩემს სამეცნიერო შრომებში [9, გვ. 13-20; 10, გვ. 22-30; და სხვა], მაგრამ მთლიანობაში კაპიტალიზმის სიმახინჯე, როგორც ადრეც აღვნიშნავდი, კონცენტრირებულად შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

კაპიტალიზმის სიმახინჯე მდგომარეობს ამ პოლიტიკური წყობილების ეკონომიკურ გამიზნულობაში, რაც ჭემმარიტი კაპიტალიზმის პირობებში ვლინდება ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობაში ადამიანზე – ხალხზე (?!), და რაც ჭემმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და ჭემმარიტად ადამიანურ სახელმწიფოში ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია.

ამიტომ, ჭემმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და ჭემმარიტად ადამიანური სახელმწიფოს პირობებში უზენაესი და მამოძრავებელი მიზანი უნდა იყოს – არა ფული, არა მოგება, არა კაპიტალი, არამედ ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა და ხალხის ინტერესების რეალიზაცია!!!

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ლოგიკურად დასტურდება, რომ სახელმწიფოში აზარტული თამაშების დაშვება – ეს არის ფულის, ბაზრის, კაპიტალის ბატონობისა და ადამიანის უმთავრესი უფლებების უხეში გათელვის დანაშაულებრივი “დაკანონების” უდავო მტკიცებულება (?!)

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დამტკიცებულია და საჯაროდ გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1992 წ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
<http://laws.codexserver.com/226.DOC>
4. საერთაშორისო დანაშაული.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6221>

5. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3534>

6. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецნიერება", 1980.

7. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2003.

8. Кураташвили Альфред А. Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: «Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках» (15 марта 1990 г.). Тбилиси: «Мецნიერება», 1990.

9. Кураташвили Альфред А. НА ГРАНИ НЕОБХОДИМОСТИ РАДИКАЛЬНЫХ ПЕРЕМЕН В ОРИЕНТАЦИИ ОБЩЕСТВА И ГОСУДАРСТВА. Международный научный журнал «ПРОГРЕСС», 2001, № 1-2. Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2001. с. 13-20.

10. Кураташвили Альфред А. Уродливая общественно- государственная система – как результат постпсевдосоциалистической контрреволюции. ПОЛИТИКО-ПРАВОВЫЕ И СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ. МАТЕРИАЛЫ МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ (18-19.05.2010). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2010. с. 22-30.

ციცინო განოკიძე (თბილისი, საქართველო)

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ავიაციის უნივერსიტეტის პროფესორი

**მოსაზრებები ანტინარკოტიკულ პოლიტიკასთან
დაკავშირებით**

საქართველოში მარიხუანას ლეგალიზაცია იქნება მწვანე შუქის ანთება იმ დიდი მოუშორებელი სენისა, რასაც ნარკოეპიდემია ჰქვია.

მე პირადად ვერ ჩავწვდი თუ ქვეყანაში სიგარეტის მოწვევა ზიანის მომტანი და მავნე ჩვევაა, მარიხუანა რით არის უკეთესი? მითუმეტეს, რომ მარიხუანას მოხმარება შესაძლებელია მხოლოდ სიგარეტის მოწვევით.

მარიხუანა საწყისი ეტაპია „დიდი ნარკომანიის“. ის ძვირადღირებული ნარკოტიკი არ არის, რაც უფრო აძლიერებს მის საფრთხის შემცველობას და ძალიან იოლად შეუძლია შეაღწიოს ყველა ჩვენთაგანის ოჯახში.

უფრო მეტიც, კატასტროფის მოლოდინში უნდა ვიყოთ თუ ჩვენში ფეხი მოიკიდა ბიონარკოტიკებმა, მათ შორის ამ ტექნოლოგიით დამზადებულმა მარიხუანამ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ნარკოტიკი სატანისეულია. სამწუხაროდ, მან მიზნის მიღწევისაკენ დაიწყო სვლა და რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე უკვე შეიწირა.

საქართველოში სადავოდ არ ხდებიან იმ ფაქტს, რომ სულ ცოტა 150 000 ნარკოდამოკიდებული გვყავს (თუმცა, სტატისტიკა, სამწუხაროდ, ზუსტი არ არის). როგორც მარწმუნებენ თბილისში იმდენად გამწვავდა სიტუაცია, რომ დღეში ორი-სამი გამწვარებული მშობელი მაინც რეკავს პოლიციაში და ითხოვს ნარკომანი შვილის დაპატიმრებას, რომ ამით ის სიკვდილს გადაარჩინოს. შევეხები კიდევ ერთ საკითხს. როდესაც ე.წ. სუბოტექსის და ამ ჯგუფის ნარკოტიკების შემოტანა აიკრძალა, მომხმარებლის უმეტესმა ნაწილმა თავი დაანება მის მოხმარებას, გარკვეული ნაწილი კი გადავიდა ხელოვნურად შექმნილი, იაფი, ხელმისაწვდომი და ჯანმრთელობისათვის მეტად საშიში, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, მომწამვლელ ნივთიერებებზე (რასაც „კროტი“, „კროკოდილი“ და ა.შ. ჰქვია). როგორც ირკვევა სწორედ ასეთ ნარკოტიკებს მიეწაფა ჩვენი ახალგაზრდობა, რითაც რეალურ საფრთხეს უქმნიან საკუთარ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ამ ტიპის საწამლავი კი ხელმისაწვდომი ხდება ყველა ფენისათვის. სააფთიაქო ნარკომანია ძირითადად დაემუქრა დედაქალაქს.

სამწუხარო რეალობაა, რომ ნარკომანი მიუღებელი ხდება საზოგადოებისათვის და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს თვით ოჯახის წევრებისათვისაც კი. ამ დროს ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორც საზოგადოების დანარჩენი წევრები. ამიტომ მარიხუანის აკრძალვაზე და ნარკოპრევენციაზე უნდა ვიზრუნოთ და არა უბედურების ახალ საწყისზე. ებრაული სიბრძნე გვეუბნება: „ბედნიერი ვარ, რომ არ მაქვს უფლება დიდი შეცდომისა, რადგან მე პატარა ერის შვილი ვარ“. რამდენადაც გასაკვირი არ

უნდა იყოს ისეთი დიდი ქვეყანა, თავისი მოსახლეობით, როგორც ჩინეთია **უსასტიკეს სისხლის სამართლის პოლიტიკას** ახორციელებს ნარკორეალიზატორების მიმართ, მათი სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივი მოვლენაა და არავის გაკვირვებას არ იწვევს. ასეთ ვითარებაში ქართველებს იმის უფლება არ გვაქვს, რომ ხელმისაწვდომი გავხადოთ მარიხუანა. მისი ლეგალიზაციის შემთხვევაში სულ ცოტა **ეროვნული ინტერესების არასწორად გაგებასთან გვაქვს საქმე, თუ არა ღალატთან.** უფრო მეტიც, ჩვენ უნდა შევძლოთ და ამას მართლაც შევძლებთ, ნარკორეალიზატორების გარეშე ვიცხოვროთ. ყველასთვის გასაგებად რომ ვთქვა ყველაფერი ჩვენზე, ჩვენს სინდის-ნამუსზეა დამოკიდებული. საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ანტინარკოტიკული ღონისძიებები, როგორც წესი, იგვიანებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპეციალისტების აზრით, მარიხუანა არა თუ მსუბუქი, არამედ ძლიერი ნარკოტიკია, რომელიც სახიფათო ცვლილებებს იწვევს, როგორც ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, ასევე ფსიქიკაში.

მარიხუანა იწვევს ჰაშიშურ ფსიქოზს, რომელიც კლინიკურად უფრო მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე სხვა მსგავსი დაავადებანი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ნათელი პერიოდები ჰაშიშურ ფსიქოზს თითქმის არ გააჩნია.

სამწუხაროდ სახელმწიფოში ერთი სრულყოფილი, კომპლექსური სამკურნალო ცენტრიც კი არ მოგვეპოვება. ვითომ ეს იმაზე მიაჩნებოდა, რომ საქართველოში ამის საჭიროება არ არის?

სწორედ რომ საჭირო და აუცილებელია ერთი კი არა, არამედ რამდენიმე სამკურნალო ცენტრი ანტინარკოტიკული პროფილით.

სახელმწიფომ უნდა გამოიხატოს სახსრები და შექმნას როგორც სამკურნალო, ასევე მრავალთვიანი სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც შეეძლება მკურნალობა გაიარონ, როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთისა და ოსეთის მაცხოვრებლებს (ისინიც ჩვენი შვილებია). დღეს ნარკოლოგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ნარკომანიის განკურნებისათვის მთავარია არა ე.წ. „ლომკის“ მოხსნა, არამედ სრულფასოვანი რეაბილიტაცია, ფიზიკური ტკივილის შემდეგ ფსიქიკური ტკივილის მოხსნა.

აქედან გამომდინარე ორ აუცილებელ მიმართულებას გამოვყოფდი ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში: ანტინარკოტიკული სწავლების აუცილებელ დანერგვას სკოლებში, იგი სასწავლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტი უნდა გახდეს და მეორე – მყარი სამკურნალო და სარეაბილიტაციო სისტემების შექმნა, მათ შორის, უფასოც. ვფიქრობ, თბილისში სულ ცოტა ორი უფასო სამკურნალო ცენტრი უნდა არსებობდეს. თბილისის მერიამ ასეთი ღონისძიებებისათვის ნამდვილად უნდა გამოიხატოს სახსრები. სხვანაირად შედეგს ვერ მივიღებთ, ვინაიდან ნარკოტიკებზე ღრმად დამოკიდებულებს ურჩევნიათ სამკურნალო ფულით ისევ ნარკოტიკი მიიღონ.

დღეს წარმატებული ქვეყნები ზრუნავენ და ქმნიან უზარმაზარ პროგრამებს, რომ საზოგადოებამ თავი დაღწიოს თამბაქოს მოწვევას. ამ დროს ჩვენ ვიწყებთ

კამპანიას მარიხუანას ლეგალიზაციისათვის. ესე იგი მივდივართ დინების საწინააღმდეგოდ.

არ უნდა დაგვავიწყდეს მოზარდის ფსიქიკა იმ თვალსაზრისით, რომ ის ხშირად ცდილობს მიბადოს უფროსებს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ: ვახდენთ მარიხუანას ლეგალიზაციას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოზარდებს, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება სიგარეტის მოწვევისაკენ მწვანე შუქს ვუნთებთ მარიხუანასკენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მარიხუანას ლეგალიზაციის შემთხვევაში ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვიწევს ნარკოეპიდემიის პირობებში ცხოვრება, როგორც ეს დაგვემართა 90-იანი წლების პერიოდში. აქედან გამომდინარე ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და დაკავშირებულია ჩვენი მომავალი თაობის უსაფრთხოებასთან, რომ გადაწყვეტილების მიღებაში მარიხუანასათვის მწვანე თუ წითელი შუქის ანთებისათვის მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს მთელმა საზოგადოებამ და არა გარკვეულ მოტივირებულმა ჯგუფებმა. სწორედ ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება პლებისციტის ჩატარება საქართველოში.

კიდევ ერთი პრობლემაა გადასაჭრელი სახელმწიფოში. ნარკომომხმარებლის მიმართ უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის პოლიტიკა. იგი უნდა ვაღიაროთ მძიმე სენით დაავადებულ ავადმყოფად, რომელსაც გადაუღებელი მკურნალობა ესაჭიროება და არა სისხლის სამართლის წესით დევნა.

აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისგან ნარკომომხმარებლის, მათ შორის, მარიხუანის მომხმარებლის, მიმართ დეკრიმინალიზაციის პოლიტიკის გატარება და მარიხუანას ლეგალიზაცია.

ხშირ შემთხვევაში ამ ორი ტერმინის აღრევა ხდება, არადა მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

დეკრიმინალიზაცია გულისხმობს ნარკომომხმარებლების (მათ შორის, მარიხუანას მომხმარებლების) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ უნდა იქნეს ის დანაშაულები, რომლებიც აწესებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ნარკოტიკების შეძენის და შენახვის, მოხმარების მიზნით.

რაც შეხება მარიხუანას ლეგალიზაციას, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ნებადართული იქნება მარიხუანის მოყვანა, გასაღება, რა თქმა უნდა, შენახვა და მოხმარება, დაუბრკოლებლად მისი გადაზიდვა და ა.შ.

ვფიქრობთ საფრთხე აშკარად სახეზეა. ლამის სახელმწიფო თავის თავზე იღებს მომხმარებლების მარიხუანით და მათი შეუფერხებლად მოხმარებისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული, ლეგალიზაციის საფრთხის თვალსაზრისით, კომენტარებს არ საჭიროებს.

Тамара Викторовна Иванова (Киев, Украина)

доктор наук по государственному управлению, профессор,
проректор по научно-педагогической работе
Академии муниципального управления

ЭКОЛОГО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ В СИСТЕМЕ НАУЧНЫХ ТЕОРИЙ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ

Накопленные экологические проблемы в Украине необходимо решать в условиях развития политических и социально-экономических процессов, рыночных отношений, требований международных обязательств по обеспечению эколого-экономической безопасности. Именно качество окружающей среды играет все более важную роль как фактор обеспечения конкурентоспособности экономики Украины на мировом рынке. Низкая результативность механизмов государственного управления устойчивым экологическим развитием Украины обуславливает объективную необходимость обеспечения эколого-экономической безопасности государства и его регионов, требует соответствующего теоретического обоснования, методологических подходов, научного обоснования направлений ее реализации. Выявление содержания эколого-экономической безопасности и разработка научных основ ее обеспечения требуют рассмотрения ряда теоретических положений, связанных с определением сущностного содержания исследуемой категории. Постановка и эффективное решение проблемы эколого-экономической безопасности должны характеризоваться строгой методологической последовательностью ее рассмотрения, что позволяет наиболее полно связать все особенности ее реализации.

Для раскрытия сущности и содержания эколого-экономической безопасности, прежде всего, необходимо выяснить, что понимать под безопасностью. В научной литературе и различных нормативных документах можно встретить не менее десятка различных определений вышеназванных понятий. В самом общем виде безопасность представляет собой систему мер защиты от опасностей. В широком смысле безопасность - это способность противостоять угрозам по отношению к жизни, здоровья, благополучия, основных прав человека, источников жизнеобеспечения ресурсов, социального порядка. Несомненно, что эти положения могут быть взяты за основу определения безопасности, которая представляет такое состояние объекта, при котором ему не угрожает опасность, сохраняется его независимость, надежность, целостность, является защищенной от опасностей или существующих угроз. Безопасность любого исследуемого объекта свидетельствует, что он в состоянии решить поставленные перед ним задачи, а в случае возникновения разного рода непредвиденных обстоятельств, опасностей или угроз может от них защититься или восстановить свою работоспособность.

Следует четко осознать, что достижение абсолютной безопасности в реальной действительности невозможно. Это связано с тем, что нельзя

достичь совершенной безвредности продуктов, нельзя достичь абсолютной надежности технических и технологических систем, предотвратить нанесение ущерба внешней среде в процессе производства. Следует отметить, что понятийный аппарат в области экологической и экономической безопасности достаточно изучен. До последнего времени проблемы экономической безопасности были предметом рассмотрения в основном западных специалистов. В 80-х - начале 90-х годов объем литературы по вопросу о сущности экономической безопасности значительно вырос. Более разнообразными стали методологические подходы этих исследований. В публикациях по проблеме обеспечения экономической безопасности в разных авторов и само понимание экономической безопасности, и ее критерии существенно различаются. Поэтому достаточно четкое определение и содержание этой категории пока отсутствуют.

Экологическая безопасность - это приемлемый социально-экономический уровень опасности. Другими словами, экологическая безопасность определяется приемлемой вероятностью отклонения состояния окружающей среды и здоровья человека от нормы. Таким образом, понятие «экологической безопасности» трактуется по-разному: то как «состояние защищенности» объекта от угроз со стороны загрязненных природных объектов, то как «состояние» объекта, при котором отсутствует угроза окружающей среды со стороны этого объекта, а то как «отсутствие недопустимого экологического риска, связанного с возможностью нанесения ущерба». Становится очевидным, что ограничиваться рассмотрением исключительно экономических угроз для обеспечения экономической устойчивости нельзя, необходимо учитывать и другие угрозы. При таком подходе проблемное поле экономической безопасности расширяется за счет экологических, гуманитарных и других детерминант «устойчивого» экономического развития.

Решение обсуждаемых проблем возможно только при интеграции экономической и экологической безопасности в единую систему, взаимосвязи и их гармоничном взаимодействии. При такой согласованности они будут не исключать, а дополнять друг друга на пути обеспечения национальной безопасности государства. Не нарушая построения единой научной концепции экономической безопасности, считаем необходимым дополнить систему национальной безопасности новым видом безопасности - эколого-экономической безопасностью. Таким образом, очевидна потребность в дальнейшем совершенствовании концептуального понимания феномена «эколого-экономическая безопасность» через потребности и интересы.

Поэтому вышеизложенное позволяет выделить некое единство рассмотренных выше категорий и предложить объединить их через понятие эколого-экономической безопасности и дать следующее определение: эколого-экономическая безопасность – это сочетание экономических, политических и экологических условий и факторов, обеспечивающих

устойчивый и эффективный социально-экономический развитие общества, направленный на улучшение качества жизни людей и сохранения окружающей природной среды. В основном проблема выявления взаимодействия экономической и экологической безопасности сейчас исследуется в форме задачи диагностики и обеспечения приемлемого уровня экономической безопасности в условиях перехода к модели устойчивого развития страны и ее регионов.

В процессе исследования данной проблематики не осталось противников тезиса, что экономическая безопасность составляет основу национальной безопасности, так как при слабой неэффективной экономике нарастают угрожающие кризисные явления в других сферах (составляющих) национальной безопасности, в том числе и экологической. В свою очередь, положение в указанных отраслях определяет уровень собственно экономической безопасности как составляющей национальной безопасности. Нет экономической безопасности без достижения экологической безопасности; значит, путем обеспечения экологической безопасности создается основа для экономической безопасности. Поэтому, по сути, понятие «экологическая безопасность» и «эколого-экономическая безопасность» тождественны.

Реализация данного подхода позволила выявить содержание эколого-экономической безопасности, под которым следует понимать способность экономики обеспечивать устойчивый темп экономического и социального развития страны при условии соблюдения балансов между экономическими интересами и ресурсно-экологической выносливостью территорий в разных регионах, сравнения и согласования масштабов хозяйственной деятельности с экологической техноёмкостью территории и уровнями допустимого риска для населения. Итак, изложенные выше теоретические соображения дают основания рассматривать эколого-экономическую безопасность именно как совокупность текущего состояния, условий и факторов, характеризующих стабильность, устойчивость развития территории, эффективность использования ее природных условий и производственно-экономического потенциала с целью повышения уровня жизни населения данного территориального образования. А в системе научных теорий устойчивого развития эколого-экономическая безопасность занимает в определенной степени доминирующее место, объясняет объективную необходимость обеспечения безопасности региона и страны в целом.

ნუგზარ სიჭინავა (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის დოქტორანტი, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის ნამდვილობის დადასტურების სამმართველოს უფროსი

კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბანხორციელდებული საგანმანათლებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მემანისა (ლიცენზირება, ავტორიზაცია) უმდარებითი ანალიზი

კერძო სამართლის სუბიექტ – საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების (სავარო-სამართლებრივი შეზღუდვის) საკითხის აქტუალურობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში მიმდინარე რეფორმებთან, სამეწარმეო ურთიერთობათა და საგანმანათლებლო სფეროს მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების მუდმივი ცვალებადობის პირობებში. საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისა და მისი შემდგომი ეკონომიკური წინსვლისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონის [1] მიღებას, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს ახალი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგს. ამ კანონით შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სახელმწიფოს ჩარევა ლიცენზიისა და ნებართვის გაცემით რეგულირებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ცალკეული საქმიანობის განხორციელებაში. გაუქმდა მთელი რიგი ლიცენზიები. გამართული ლიცენზირებადი საქმიანობისათვის აუცილებელი დამატებითი სალიცენზიო პირობებისა და ნორმატივების შემოღების კვალდაკვალ არ მომხდარა სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობის ზრდა, ლიცენზიის მოქმედების ვადის განსაზღვრა ან ლიცენზირებას დაქვემდებარებული რამდენიმე საქმიანობის ერთობლივად განხორციელების უფლების შეზღუდვა. უმნიშვნელოვანესად უნდა ჩაითვალოს ამ კანონის მე-10 მუხლის მე-17 პუნქტის ნორმა, რომლის თანახმადაც, ლიცენზიის გამცემს დაეკისრა ვალდებულება ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიეღო განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია გაცემულად ითვლებოდა. ასევე აღსანიშნავია ლიცენზირების პროცედურის გავლისას „ერთი სარკმლის პრინციპის“ [2] დანერგვა, როდესაც ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო თავად უზრუნველყოფდა ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების თაობაზე დასკვნებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების მოპოვებას სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისა თუ ექსპერტებისაგან (მაგალითად, ცნობა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ, დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის თაობაზე, შენობა-ნაგებობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შემოწმების დოკუმენტი და ა.შ.).

ნიშანდობლივია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის დებულება, რომლის თანახმადაც, „თუ დადგენილ ვადაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელდებოდა ფაქტობრივი გარემოების შესაბამისი წესით დადასტურება ან დასაბუთებული უარი მის დადასტურებაზე, კანონმდებლობით დადგენილი დამატებითი სალიცენზიო პირობები დაკმაყოფილებულად ითვლებოდა. ამ საკანონმდებლო აქტით დაუშვებლად იქნა მიჩნეული ლიცენზიის გამცემის მიერ ისეთი დამატებითი პირობის ან რეჟიმის დაწესება, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობდა საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის ფილიალისათვის

ცალკე ლიცენზიის გაცემას. ლიცენზიის მფლობელის მიერ ფილიალის გასახსნელად საკმარისად ჩაითვალა ლიცენზიის გამცემის წინასწარი ინფორმირება ფილიალში სალიცენზიო პირობების დაცვის თაობაზე.

კანონმდებლობამ გაითვალისწინა ლიცენზიის გაცემის თაობაზე პროცედურის გამჭვირვალობის მთელი რიგი მექანიზმები, როგორცაა:

- სალიცენზიო განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ლიცენზიის გამცემის მიერ ცნობის დაუყოვნებლივ გამოქვეყნება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ;

- განცხადების საჯარო გაცნობისათვის წარდგენიდან 20 დღის განმავლობაში ნებისმიერი პირის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოში თავისი მოსაზრებების წერილობით წარდგენის თაობაზე;

- ლიცენზირების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ზეპირი მოსმენის გამართვა და სხდომაზე ნებისმიერი პირის დასწრების უზრუნველყოფა.

აღნიშნული კანონით, საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად გათვალისწინებულ იქნა შემთხვევები, როდესაც:

- ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნებოდა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;

- ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;

- ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული ჰქონდა შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს მიეცა უფლება სალიცენზიო მოწმობის მიღებამდე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განეხორციელებინა ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა ლიცენზიის გამცემის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით დადგენილ ვადებში ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ბრალეული თანამდებობის პირის უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობაზე გადაყვანას 6 თვის ვადით. აღნიშნული სამართალდარღვევის 3 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა წარმოადგენდა ამ თანამდებობის პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს. მსგავსი მიზეზით თანამდებობიდან გათავისუფლებული პირის ამავე თანამდებობაზე დანიშვნა დაუშვებლად იყო მიჩნეული. ასევე დაუშვებელი იყო ამ პირის დანიშვნა გათავისუფლებული თანამდებობის შინაარსისა და ფუნქციის მქონე სხვა თანამდებობაზე (მუხლი 37).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიცენზიის მაძიებლის/მფლობელის უფლებების დაცვის სერიოზული გარანტიების არსებობის პირობებში, საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზირების სფეროში 2005 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილება წარმოადგენდა მინიმალურ სტანდარტს, რომლის შესრულებაც მძიმე ტვირთად არ აწვებოდა დაწესებულებას.

„საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 10 მარტის კანონი [3] და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2010 წლის 01 სექტემბრამდე წარმოადგენდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირების საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზირების მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტებს, რომლებიც აწესრიგებდნენ იმ დროისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სფეროში არსებულ მდგომარეობას, ამასთან

სახელმწიფოს ლიბერალური მიდგომის გათვალისწინებით არაპირდაპირ წარმოადგენდნენ საგანმანათლებლო სფეროს განვითარების, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან) ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის, დასაქმების პრობლემაზე დადებითი ზემოქმედების, კერძო სამართლის სუბიექტ საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნის და შესაბამისად, გადასახადების გადამხდელ იურიდიულ პირთა დაარსების წახალისების ხელშეწყობის ინსტრუმენტებს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტები, განათლების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან ერთად უდავოდ იყვნენ ორიენტირებულები განათლების ხარისხის ზრდაზე, რაც გარკვეული ტემპებით ხორციელდებოდა სხვადასხვა სფეროს კომპლექსური განვითარების პარალელურად.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონის [4] საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“ [5], რომლითაც დადგინდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების პირობები და ავტორიზაციის პროცედურა. მოცემული დებულებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სტანდარტი კი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მოთხოვნას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად. საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიიდან გამომდინარე, ავტორიზაციით დგინდება დაწესებულების შესაბამისობა შემდეგ სტანდარტებთან:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- მატერიალური რესურსი;
- ადამიანური რესურსი.

ამ დებულებით განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები, რომლებმაც ლიცენზირებისაგან განსხვავებით განსაზღვრეს დამატებითი პირობები საქმიანობის უფლების განსახორციელებლად. აღსანიშნავია აგრეთვე ლიცენზირებისაგან განსხვავებით ავტორიზაციის პროცედურის სირთულე და ავტორიზაციის მაძიებელი კერძო სამართლის სუბიექტისათვის შედარებით სერიოზული ფინანსური სახსრების ხარჯვის საჭიროება ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ.

ავტორიზაციის თაობაზე, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობიდან 90 დღის განმავლობაში, ლიცენზირების დროს გადაწყვეტილება მიიღებოდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განცხადების რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღების თაობაზე სალიცენზიო განცხადების განხილვა ლიცენზიის გამცემი დაწესებულების მიერ არ ითვალისწინებდა რაიმე სახის საფასურის გადახდევინებას. ავტორიზაციის განაცხადის განხილვისათვის კი დადგენილია 500 ლარის ოდენობის საფასურის გადახდა.

საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საკითხის განხილვისას, მათ შორის ზეპირი მოსმენის სხლომაზე, ლიცენზიის მაძიებელი სუბიექტი უფლებამოსილი იყო წარმოედგინა სალიცენზიო პირობების დაცვის თაობაზე, ასევე დარღვეული პირობების აღდგენის დამადასტურებელი, დოკუმენტაცია, რაც ექვემდებარებოდა შესწავლასა და განხილვას. ავტორიზაციის შემთხვევაში კი, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის (სტანდარტების დაკმაყოფილების თაობაზე ჩატარებული შემოწმების) შემდეგ

(„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-11 პუნქტი).

ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ყველა სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან მიიღება გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ. ავტორიზაციის ვადა შეადგენს 5 წელს. ლიცენზირების შემთხვევაში, სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების დროს, საგანმანათლებლო დაწესებულების სახელზე ლიცენზია გაიცემოდა უვადოდ, რაც თავიდანვე გამორიცხავდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პერიოდულად თუნდაც კანონმდებლობით გათვალისწინებული [6] მაქსიმალური სალიცენზიო მოსაკრებლის (500 ლარი) მიღების შესაძლებლობას. ავტორიზაციის შემთხვევაში კი, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მაინც ავტორიზაციის პროცედურის გასავლელად საგანმანათლებლო დაწესებულებას, მოსაპოვებელი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესაბამისად, უწევს მინიმუმ 2500 ლარიდან 20500 ლარის ოდენობის ფინანსური ხარჯის გაწევა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სასარგებლოდ.

ლიცენზიის გაუქმება დაუშვებელი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ღონისძიების განხორციელებას შესაძლოა მოეტანა უფრო მეტი ზიანი, ვიდრე ძალაში მის ყოფნას. მსგავსი ნორმით გარანტირებული იყო მესამე პირთა უფლებები და მათ ეძლეოდათ საშუალება სწავლა გაეგრძელებინათ ან დასაქმებულიყვნენ სხვა კერძო სამართლის სუბიექტში, ასევე დაცული იყო თავად ლიცენზიის მფლობელის, თუნდაც სალიცენზიო პირობების დამრღვევი კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებები, არსებული ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ზიანის მინიმიზაციის თვალსაზრისით (გაუწვევლი საგანმანათლებლო მომსახურების პირობებში მიღებული სწავლის საფასურის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სწავლის ისეთ პერიოდში შეწყვეტისას (ლიცენზიის გაუქმება), როდესაც იმავე მომენტში არ არსებობს მეორე მხარის მიერ საგანმანათლებლო მომსახურების მიღების ალტერნატიული საშუალება და სხვა). ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს/სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტატუსი და უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით, რასაც ახლავს მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებული სწავლის შედეგების სრულად არაღიარების, სწავლის გაზრდილი საფასურის გადახდის, აგრეთვე დროის (სწავლების წლის, სემესტრის) დაკარგვის რისკები.

2010 წლის პირველ სექტემბრამდე კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილი იყო მიეღო საგანმანათლებლო სფეროში არსებული სხვადასხვა სახის რამდენიმე ლიცენზია და შესაბამისად, ერთდროულად განხორციელებინა რამდენიმე სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, აიკრძალა ერთი და იმავე იურიდიული პირისათვის განსხვავებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების გარეშე. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეზღუდულია მსგავს უფლებამოსილებაში, ვინაიდან კანონმდებლობა უკრძალავს ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა ამ პროგრამების განხორციელებისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

განსაკუთრებით საინტერესოა სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ლიცენზიის გაუქმების კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმის თავისებურება, რომელიც ფაქტიურად გამორიცხავდა თვითნებობას ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო ორგანოს მხრიდან და იცავდა ლიცენზიის მფლობელ კერძო სამართლის იურიდიულ პირს სათანადო საფუძვლის არსებობის პირობებშიც კი საქმიანობის შეუფერხებელი

განხორციელების თვალსაზრისით, ვინაიდან კანონით გათვალისწინებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების რამდენიმე ეტაპიანი რთული პროცედურა.

სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა ლიცენზიის გამცემი, მხოლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშებით. სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება ლიცენზიის მფლობელის მიერ ხდებოდა ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. თუ წარდგენილი ანგარიშებით ნათლად არ იყო დეკლარირებული ან საერთოდ არ იყო მითითებული სალიცენზიო პირობების დაცვის ფაქტი, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი იყო მიემართა ლიცენზიის მფლობელისათვის და მოეთხოვა სალიცენზიო პირობების გონივრულ ვადაში დაცვის შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენდა კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

სალიცენზიო პირობების შემოწმებისას ლიცენზიის გამცემს არ ჰქონდა უფლება შეემოწმებინა ან მოეთხოვა ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ იყო დაკავშირებული ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დაცვასთან. სალიცენზიო პირობების დაცვის შემოწმების თაობაზე კანონმდებლობის ნორმათა რეალური ამოქმედებით საგრძნობლად მოწესრიგდა ლიცენზიის მფლობელთა საქმიანობა, გაიზარდა მათი ინფორმირებულობა და ლიცენზიის გამცემთან აქტიური ურთიერთკომუნიკაციის ხარისხი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიმუმამდე იყო დაყვანილი ლიცენზიის გამცემის მხრიდან შერჩევითი შემოწმების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი, ვინაიდან თუ კანონით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ლიცენზიის გამცემს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შეეძლო კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

აღნიშნული კანონით სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მდგომარეობდა შემდეგში: კერძოდ, ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევდა ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. ამ შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემს უნდა განესაზღვრა გონივრული ვადა სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაედგინა ის პირობები, რომელთა დაცვაც აუცილებელი იყო კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის. პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევდა დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. ლიცენზიის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას უნდა განსაზღვროდა ვადა და შესაბამისი პირობები სალიცენზიო პირობების განმეორებით დაკმაყოფილებისათვის. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა ისევ სამმაგდებოდა. თუ აღნიშნულ პასუხისმგებლობის ზომათა დაკისრების მიუხედავად ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნებოდა უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება, ლიცენზიის გამცემი იღებდა გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ, რომელშიც უნდა დაესაბუთებინა პასუხისმგებლობის ამ ფორმის გამოყენების აუცილებლობა.

კანონმდებლობით, ლიცენზიის გაუქმების ანუ ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების, საფუძველს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის [7] 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, წარმოადგენდა:

- ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;
- ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია;
- გ) კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

საგულისხმოა რეფორმების პროცესში სახელმწიფოს დამოკიდებულება ლიცენზირებული კერძო სამართლის სუბიექტებისადმი, რაც გამოიხატებოდა მათი ინტერესების გათვალისწინებაში. კერძოდ, სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის ჯარიმის ოდენობის კანონმდებლობით განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას (2007 წ.), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით შეთავაზებულ იქნა სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობის (100 – 500 ლარი) შესაბამისი ფაქტიურად მინიმალური საჯარიმო სანქციების გათვალისწინება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. მოცემული მიდგომა მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის, რომლის პოზიციის თანახმად, სალიცენზიო პირობების დამრღვევი ლიცენზიის მფლობელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ჯარიმის სახით გადახდილი თანხები ვერ განიხილებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყაროდ, უმჯობესი იქნებოდა ეს თანხა მოხმარებოდა ლიცენზიის მფლობელის მიერ დარღვეული სალიცენზიო პირობების აღდგენასა და შესრულებას, ხოლო საჯარიმო სანქცია ყოფილიყო სიმბოლური დატვირთვის მქონე. ამასთან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ სახელმწიფოს პერიოდულად შეექმნა შესაბამისი პირობები, მათ შორის სამართლებრივი ბაზა, სალიცენზიო პირობების შესრულების ხარისხი გაზრდისათვის, რათა გეგმაზომიერად მიახლოვებოდა მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს და კანონით დადგენილი წესით „აუქმებისა“ კერძო სამართლის სუბიექტი საწარმოს წმინდა მოგების გარკვეული გონივრული წილი დაეხარჯა სწორედ სტანდარტების მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის. აღნიშნული გარემოებებით იყო განპირობებული სახელმწიფოს ჩარევის მინიმუმაცია და მათ შორის ლიცენზიის გაუქმების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცედურის განსაზღვრა. აღნიშნული პოზიცია ცალსახად იქნა გაზიარებული განხილვის პროცესში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენების შემდეგ, ლიცენზიის გამცემი მივიდოდა დასკვნამდე, რომ ლიცენზიის გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი ზიანი, ვიდრე ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის გამცემი ვალდებული იყო მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით ლიცენზირებადი საქმიანობის გაგრძელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იყო ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყო დამატებითი სალიცენზიო პირობების შესრულება. თუ ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელის მიერ მაინც არ იქნებოდა უზრუნველყოფილი სალიცენზიო პირობების შესრულება, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი იყო ლიცენზიის მფლობელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად მიეღო გადაწყვეტილება სალიცენზიო პირობების შესრულების თვითონ ან მესამე პირთა მეშვეობით, ლიცენზიის მფლობელის სახელითა და ხარჯით უზრუნველყოფის შესახებ. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ იქნებოდა შესაძლებელი სალიცენზიო პირობების შესრულება, ლიცენზიის გამცემის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო იღებდა გადაწყვეტილებას ლიცენზირებადი საქმიანობის განსახორციელებლად და სალიცენზიო პირობების შესასრულებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ. თუ დაყოვნებას შეეძლო გამოეწვია ზიანი, ლიცენზიის გამცემი დასაბუთებული გადაწყვეტილებით ნიშნავდა სპეციალურ მმართველს და დაუყოვნებლივ წარუდგენდა სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად. ამ ღონისძიებათა გამოყენება შესაძლებელი იყო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების მიუხედავად, თუ ლიცენზიის გამცემისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ ლიცენზიის მფლობელის მიმართ ჯარიმის გამოყენება ვერ უზრუნველყოფდა სალიცენზიო

პირობების შესრულებას. ლიცენზიის გამცემი ვალდებული იყო დაესაბუთებინა აღნიშნული გადაწყვეტილება. სპეციალური მმართველი უფლებამოსილი იყო ლიცენზიის მფლობელის ხარჯით სალიცენზიო პირობების შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებინა ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება. თუ კანონით სხვა ვადა არ იყო დადგენილი, სპეციალური მმართველის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველთვის ანგარიშს ამტკიცებდა სასამართლო.

სპეციალური მმართველი შესასრულებელი სალიცენზიო პირობების გათვალისწინებით ინიშნებოდა განსაზღვრული ვადით. თუ დადგენილ ვადაში ვერ შესრულდებოდა სალიცენზიო პირობები, სასამართლო უფლებამოსილი იყო გაეგრძელებინა აღნიშნული ვადა. ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იყო სპეციალური მმართველის მოთხოვნისას დაუყოვნებლივ მიეწოდებინა მისთვის ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია ან მატერიალური საშუალებები. ლიცენზიის მფლობელის მიერ აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობა ან სპეციალური მმართველისათვის ხელის შეშლა გამოიწვევდა ლიცენზიის მფლობელის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სპეციალური მმართველის ან თვით ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფის შემთხვევაში სასამართლო იღებდა გადაწყვეტილებას სპეციალური მართვის გაუქმების შესახებ. ყველა ქმედება, რომელიც მიმართული იყო სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფისაკენ, მათ შორის, სპეციალური მმართველის ანაზღაურება, ხორციელდებოდა ლიცენზიის მფლობელის ხარჯით.

კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებდა შემდეგ შემთხვევასაც, თუ ლიცენზიის მფლობელს ჰქონდა გენერალური ლიცენზია და ვერ აკმაყოფილებდა მსგავსი ტიპის საქმიანობებიდან რომელიმე ვიწრო სპეციალური საქმიანობის მარეგულირებელ სალიცენზიო პირობებს, იგი უფლებამოსილი იყო განხორციელებინა გენერალური ლიცენზიით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი საქმიანობები. ვიწრო საქმიანობის მარეგულირებელი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა არ წარმოადგენდა გენერალური ლიცენზიით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელების აკრძალვის საფუძველს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე 32-ე მუხლები ითვალისწინებენ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მონიტორინგს, რასაც ახორციელებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის პირობები მოწმდება ყოველწლიურად ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით, ასევე ცენტრის ინიციატივით. ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში ელექტრონული ფორმით. დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არაუმეტეს 15 დღისა) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. განსაზღვრულ ვადაში დაწესებულების მიერ შესაბამისი პირობების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის მონიტორინგის (შემოწმება) შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ დაწესებულება არ შეესაბამება ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ დაწესებულებამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები საგანმანათლებლო

დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მსგავსი ნორმის საფუძველზე სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია დროის მცირე მონაკვეთში საგანმანათლებლო დაწესებულებათა სივრციდან გააქროს კერძო სამართლის სუბიექტი – საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც ყოველად დაუშვებელი იყო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზირების შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებული იყო ლიცენზიის გაუქმების მრავალეტაპიანი და მრავალკომპონენტიანი მექანიზმი, რაც განპირობებული იყო ზოგადად საგანმანათლებლო სფეროსადმი სახელმწიფოსა და საზოგადოების მაღალი ინტერესებით, როგორც საქმიანობის განმახორციელებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, ისე ამ სუბიექტში დასაქმებულ და მასთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირთა (პერსონალი, მოსწავლეები/სტუდენტები, მოსწავლეთა მშობლები და ა.შ.) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კერძო სამართლის სუბიექტების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმში არსებული პრობლემების გადაჭრა საჭიროებს ღრმადგააზრებული ცვლილებების განხორციელებას მოქმედ ნორმატიულ აქტებში, არსებული მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე დაინტერესებულ პირთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005წ., მუხ. 264);
2. „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი (ერთი სარკმლის პრინციპი – ადმინისტრაციული წარმოების წესი, როდესაც ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან. ამ პირობების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახუროდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს);
3. „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №11, 29.03.2005წ., მუხ. 72);
4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 05.08.2010წ., მუხ. 301);
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №126, 01.10.2010წ., მუხ.1840);
6. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს 2003 წლის 12 აგვისტოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003 წ., მუხ. 195);
7. 1999 წლის 25 ივნისის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32(39), 1999 წელი, მუხ. 166).

მინდია ოკუჯავა (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
სამართლის დეპარტამენტის დოქტორანტი

**თანამედროვე უმჯობესებები
სახელმწიფო მმართველობის ფორმათა
კლასიფიკაციის შესახებ**

1. შესავალი

მმართველობის ფორმის, ანუ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებისა და ურთიერთმიმართების კონსტიტუციებით გათვალისწინებული პრინციპები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გვაძლევს პასუხს კითხვაზე – როგორია ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთდამოკიდებულება, როგორია ხელისუფლების ორგანოების შექმნის წესი და მათი უფლებამოსილების ხანგრძლივობა. ამ მიმართულებით განვიხილავთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ფორმირებისა და ურთიერთმიმართების ასპექტებს.

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების ამ განშტოებათა ფორმირების მეთოდი განსაზღვრავს მათი ფუნქციონირების თავისებურებებს – საკანონმდებლო აქტების შემუშავების წესებს, აღმასრულებელი სუბიექტებისა (მთავრობის მეთაურისა და მინისტრების) და საკანონმდებლო სუბიექტების (ცალკეული კანონმდებლებისა და პარტიების) მოქმედებათა ფორმებს.

ამ მიმართულებით არსებული ვრცელი და არაერთგვაროვანი ლიტერატურა პირობითად შეიძლება დაიყოს ადრეულ – ტრადიციულ და უახლეს კვლევებად.

ადრეულ კვლევებში ხელისუფლებათა შორის ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები განისაზღვრება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მანდატების მოპოვების წესებისა და პროცედურების ანალიზის საფუძველზე. უფრო კონკრეტულად კი ძირითად ფაქტორს “აღმასრულებელი ხელისუფლების მანდატის კანონმდებელთა ნდობაზე დამოკიდებულების ან ამ ნდობისაგან დამოუკიდებლობის საკითხი წარმოადგენს” [1, გვ. 211].

შესაბამისად, ამ კვლევების ფარგლებში ხელისუფლებათა შტოები განიხილება ერთიანი (უნივერსალური) სუბიექტების სახით, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენისათვის.

ორგანიზაციული სტრუქტურა განაპირობებს ხელისუფლების ორ შტოს შორის ურთიერთმიმართების ბუნებას, განსაზღვრავს რომელი დომინირებს, ან საერთოდ დომინირებს თუ არა რომელიმე პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ეს თავისებურებები ინსტიტუციურ დონეზე გამოიხატება საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემებს შორის სხვაობით. „პირველ შემთხვევაში კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებითი დამოკიდებულების სისტემა (საპარლამენტო სისტემა), მეორე შემთხვევაში – ამ ორი ხელისუფლების დამოუკიდებლობის სისტემა (საპრეზიდენტო სისტემა)“ [2, გვ. 3].

2. საკანონმდებლო-აღმასრულებელ ურთიერთობათა კონცეპტუალური საფუძვლები უახლესი შეხედულებების მიხედვით (კონფლიქტიდან თანამშრომლობისკენ)

ხელისუფლებათა შორის კონფლიქტების შესწავლამ უკანასკნელ წლებში თანდათანობით გზა გაუხსნა უფრო კომპლექსურ (რთულ) მოდელს, რომლის ფარგლებშიც აღმასრულებელ-საკანონმდებლო ურთიერთობები გაგებულია არა აუცილებლად როგორც ხელისუფლების ორ შტოს შორის ურთიერთქმედება, არამედ, როგორც მთავრობას, პოლიტიკურ პარტიებსა და კანონმდებელთა ჯგუფებს შორის ურთიერთობები, რომლებმაც უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან რათა შეძლონ მართვა და იმპლემენტაცია, ასევე, იყვნენ ერთმანეთის კონკურენტები არჩევნებში ხმების მოპოვების პროცესში. ამ თვალსაზრისისათვის

ძირითად საკითხს (საგანს) წარმოადგენს არა მთავრობასა და პარლამენტს შორის კონფლიქტის ან თანამშრომლობის მექანიზმები, არამედ, ინსტიტუტები და სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთავრობას გარკვეული პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო უმრავლესობის მხარდაჭერით პარლამენტში. ეს უახლესი კვლევები საკმაოდ არაერთგვაროვანია. მაგრამ, უახლესი კვლევების ერთად დაჯგუფება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვეყოთ მათში აღწერილი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშან-თვისებები:

ა) შესაბამისი აქტიორები, რომლებიც მიიღვიან მრავალრიცხოვანი მიზნების მიღწევისაკენ, შიძლება ერთმანეთში კონფლიქტში იყვნენ;

ბ) საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში უმრავლესობის ფორმირებისა და პოლიტიკური მიზნების მიღწევაში მისი ეფექტურობის გასაგებად გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შიდა საკანონმდებლო პროცესებთან დაკავშირებულ ფაქტორებს.

3. საკანონმდებლო-აღმასრულებელ ხელისუფლებათა ურთიერთობების შესახებ უახლესი შეხედულებების ძირითადი მახასიათებლები და აღნიშნულ ურთიერთობათა მოდელები.

ახალი თაობის კვლევებში ხელისუფლებათა ფორმირების ფორმა არ წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის უნარიანობისა თუ საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებული თავისებურებების განმსაზღვრელ ფაქტორს. აქ შესწავლის ძირითად საგანს წარმოადგენს საკანონმდებლო არენა, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი არეალი. ამ კვლევებში ძირითადი აქცენტები კეთდება იმაზე, თუ როგორ ახდენენ კანონმდებლები მათი საქმიანობის ორგანიზებას და დღის წესრიგზე კონტროლს. ამ ძირითადი პრინციპის საფუძველზე შეგვიძლია გამოვეყოთ საკანონმდებლო-აღმასრულებელ ურთიერთობათა შესახებ ახალი თაობის კვლევების ორი თვისება:

ა) ამ ორ შტოს შორის ურთიერთობების სასურველ მოდელს უფრო კოორდინაციის პრინციპი წარმოადგენს, რომლის პირობებში პოლიტიკურ შტოებს შორის დამოკიდებულება აიგება კოორდინაციაზე ან ურთიერთშეთანხმებებზე და არა ნულოვანი მოგების პრინციპზე. ასეთ პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება წარმატებებს საკანონმდებლო ხელისუფლების მეშვეობით აღწევს;

ბ) განვითარებულია განსხვავებული ხედვა პოლიტიკოსთა ქცევის განმსაზღვრელ მოტივებთან დაკავშირებით. საკანონმდებლო-აღმასრულებელი ურთიერთობების შესახებ შეხედულებებში, ისევე, როგორც თანამდებობისაკენ სწრაფვა ასოცირდება კონფლიქტთან, ასევე მსჯელობა იმის შესახებ, რომ პოლიტიკოსები ზრუნავენ პოლიტიკის წარმართვაზე ასოცირდება კოორდინაციასა და თანამშრომლობასთან.

როგორც პრაქტიკა მოწმობს სასურველი პოლიტიკა ვერ განხორციელდება ხელისუფლების მხოლოდ ერთი შტოს მეშვეობით, არამედ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ორივე შტოს მაკონტროლებელი თანმიმდევრული უმრავლესობის არსებობის პირობებში. „ამ თვალსაზრისით დემოკრატიული სისტემისათვის უფრო დამახასიათებელია კოორდინაციის ინციატივა, ვიდრე კონფრონტაციისა, მიუხედავად ხელისუფლების ამ ორი შტოს ფორმირების მეთოდებისა“ [3, გვ. 200].

ახალი თაობის კვლევებისათვის ასევე არსებითია პარტიებს შორის საარჩევნო კონკურენციის მნიშვნელობა, იმ პარტიებს შორისაც კი, რომლებიც კოორდინაციას ახდენენ მთავრობის მხარდასაჭერად [4, გვ. 137].

საკანონმდებლო ხელისუფლებაში კოორდინაციის მიღწევა უნდა მოხდეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არჩევნების დროს პარტიები მაქსიმალურად ეჯობებიან ერთმანეთს ხმების მოსაპოვებლად.

ამომრჩევლების ინფორმირება, პარტიის ან კანონმდებლის პოზიციების შესახებ, ამ შეჯობის არსებითი ნაწილია. ეს ფაქტი გარკვეულწილად განსაზღვრავს საკანონმდებლო

ხელისუფლებისა და გარკვეული ტიპის მთავრობების სამომავლო ქცევებს (რომლებიც, ერთი შეხედვით, პოლიტიკურ მონაწილეებს და საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის შეურიგებელი კონფლიქტის შედეგად ყალიბდებიან).

ამ მიმართულებით მსჯელობა შეიძლება წარიმართოს სამი ძირითადი თემის გარშემო, სადაც ხაზგასმული იქნება ზემოაღნიშნულ ურთიერთობებთან ასოცირებული ემპირიული კანონზომიერებები და მათი მნიშვნელობა დემოკრატიულ რეჟიმებში აღმასრულებელ-საკანონმდებლო ურთიერთობების კვლევისთვის.

კერძოდ ახალი თაობის კვლევები ცხადყოფენ:

ა) საპარლამენტო სისტემებში უმცირესობის მთავრობების (minority governments) არსებობა არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა და თანაც მათი ხელისუფლებაში ყოფნა არცთუ ისე ხანმოკლეა;

ბ) საპრეზიდენტო სისტემებში კოალიციური მთავრობები არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა და არც უნიკალურად არასტაბილური;

გ) აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემზღუდავი საკანონმდებლო ინსტრუმენტების გამოყენება აუცილებლად არ გულისხმობს, რომ ის ცალმხრივად ახვევს თავს მის ნებას საკანონმდებლო ხელისუფლებას.

ახალი თაობის კვლევების ფარგლებში გამოკვეთილი ყოველი ეს თავისებურება ამცირებს სხვაობას მმართველობის საპრეზიდენტო და საპარლამენტო ფორმებს შორის. მათში, ცალკეული ამ სისტემის შესახებ დაგროვილი ცოდნის მეორე სისტემის ანალიზისათვის (და პირიქით) გამოყენებისას ნათლად ჩანს, რომ ის რადიკალური სხვაობა, რომელიც ახასიათებს ამ ორ სისტემას ფორმირებისა და სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით, აუცილებლად როდი აისახება (ვრცელდება) მათი ფუნქციონირების ხასიათზე.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახის სახელმწიფო მმართველობები: უმცირესობების მთავრობები საპარლამენტო დემოკრატიებში; კოალიციური მთავრობა; ძლიერი მთავრობა; ძლიერი პრეზიდენტი.

4. დასკვნა

ამდენად, საკანონმდებლო-აღმასრულებელ ურთიერთობათა შესახებ ტრადიციულ და ახალი თაობის კვლევებში ჩამოყალიბებული შეხედულებების არაერთგვაროვანების მიუხედავად, დემოკრატიულ სისტემებში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ურთიერთქმედებას შეიძლება მაინც მოეძებნოს საერთო კონცეფცია. ტრადიციული შეხედულების თანახმად, არსებობს კონფლიქტი ხელისუფლების ორ შტოს შორის, რომელიც გამომდინარეობს მთავრობების და კანონმდებლების ფორმირების წესიდან და პოლიტიკოსების მოტივაციის ვიწრო ხედვიდან, რომ პოლიტიკური ფიგურები მხოლოდ თანამდებობების მოპოვებისაკენ მიისწრაფვიან.

ამის საპირისპიროდ ახალი თაობის შეხედულებებში ზემოაღნიშნულ ურთიერთობათა ანალიზის არეალი უფრო გაფართოვებულია და მოიცავს საკანონმდებლო პროცესს. საკანონმდებლო პროცესი ამ შეხედულებებში გაგებულია როგორც სხვადასხვა სიკეთეების შეთავაზების და მასზე მხარდაჭერის პროცესი. მათში ასევე მიღებულია პოლიტიკოსების მოტივაციის უფრო ფართო ხედვა – პოლიტიკოსები თანამდებობის გარდა, ასევე დაინტერესებული არიან პოლიტიკითაც და ხმების მოპოვების პროცესში კონკურენციითაც.

ამ თვალსაზრისით მმართველობის საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემებს შორის განსხვავება მინიმალურია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მმართველობის საპრეზიდენტო და საპარლამენტო ფორმები იდენტურნი არიან; ისინი აშკარად განსხვავდებიან და თითოეულ სისტემაში, მონაწილეებს შეიძლება ჰქონდეთ მათთვის ხელმისაწვდომი სტრატეგიები, რომლებიც სხვა სისტემაში განუხორციელებელია. საქმე ისაა, რომ თუ დაუშვებთ, რომ პოლიტიკოსებს, სხვადასხვა სისტემებში მსგავსი მოტივები აქვთ და რომ საკანონმდებლო ინსტიტუტები დამოკიდებულნი არ არიან სახელმწიფოებრივი

მმართველობის ფორმაზე, შესაძლებელი იქნება კანონების მიღების დემოკრატიული პროცესის დანახვა, რომელიც აუცილებლად მოიცავს როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო შტოებს და ფაქტობრივად მსგავსია სხვადასხვა ტიპის მმართველობის სისტემებში.

ლიტერატურა

1. Edward Elgar. Comparative Constitutional Law: Research Handbooks in Comparative Law. Edited by: Tom Ginsburg (University of Chicago, USA) and Rosalind Dixon (University of Chicago, USA), 2011.

2. Constitutional Frameworks and Democratic Consolidation: Parliamentarism versus Presidentialism. Alfred Stepan; Cindy Skach. World Politics, Oct. 1993.

3. Edward Elgar. Comparative Constitutional Law: Research Handbooks in Comparative Law. Edited by: Tom Ginsburg (University of Chicago, USA) and Rosalind Dixon (University of Chicago, USA), 2011.

4. Kaare Strom. Minority Government And Majority Rule. Cambridge University Press 1990.

Ярослав Федорович Жовнирчик (Киев, Украина)

доктор наук по государственному управлению ,
Национальный университет биоресурсов и природопользования Украины,
профессор кафедры государственного управления
Учебно-научного института последипломного образования

**РОЛЬ ГОСУДАРСТВЕННОГО ВЛИЯНИЯ
НА ИННОВАЦИОННЫЕ ПРОЦЕССЫ В УКРАИНЕ**

Мировой опыт показывает, что в развитии новой, основанной на инновациях экономики, нельзя полагаться на стихийные, чисто коммерческие факторы. Необходимо активное участие в этом государственных структур всех уровней. Обеспечение инновационного развития требует совместных и скоординированных усилий центральной власти, органов регионального управления и местного самоуправления. Роль центральной власти в формировании инновационного развития является разносторонней и разноплановой.

Учитывая украинские реалии, стоит отметить, что первостепенным для правительственной деятельности является задача формирования инновационного типа развития экономики, создания в стране эффективного рынка инноваций. Потенциальные возможности инновационного развития экономики не реализуются только под влиянием рыночных изменений.

Фактически речь идет о деятельности государства на рынке инноваций. Общеизвестно, что ряд рынков для нормального функционирования требует государственного контроля и интервенций, в частности рынок рабочей силы, рынок продовольствия, ценных бумаг и др. К ним относится и рынок инноваций, который формируется в Украине. Опыт развитых стран мира показывает, что этот рынок подвержен государственному управлению, которое определяет долговременные тенденции его развития .

В простейшем виде государственная инновационная политика сводится к созданию и использованию механизмов воздействия на детерминанты инновационного развития. На рынке, как известно, действуют две агрегированные силы - спрос и предложение. Именно они определяют емкость и масштаб рынка. Национальный интерес заключается в том, чтобы увеличивать объемы производства и потребления высокотехнологичных продуктов. С этой целью государство должно влиять как на формирование совокупного спроса, так и на его предложение.

Инновационная инертность - это черта не только советского или постсоветского человека, в которых она приобретает гиперболизированные значения. Она свойственна человеку вообще. Об этом писал еще в начале прошлого века И. Шумпетер. Он обращал внимание на три причины осложнений, стоящих на пути нововведений [3, с. 180-183]. Это, во-первых, предприниматели, когда они покидают знакомые им поля деятельности и вынуждены принимать рискованные решения при отсутствии надлежащей информации. Они вынуждены при этом выполнять не только большие объемы работ, но работы качественно другие. Итак, им становится труднее, сложнее выполнять функцию предпринимателя. Во-вторых, препятствием становится обычный человеческий консерватизм. Предприятие всегда опирается на новое, но воплощать его в жизнь объективно труднее, чем выполнять привычную, известную работу. В-третьих, это противодействие социальной среды попыткам внести что-то новое вообще и в экономике в частности. Нетрадиционное поведение вызывает общественное сопротивление .

Для преодоления этих препятствий требуется распространение и утверждение в обществе "инновационной идеологии" - понимание необходимости и безальтернативности постоянных нововведений в технологической, экономической и социальной сферах

общественной жизни, понимание будущего лишь на путях инновационного развития. Она должна быть рассчитана и охватывать все слои населения, начиная с высоких чиновников или менеджеров и заканчивая работниками. Это требует, в частности, широкого и качественного образования в школах, высших учебных заведениях, на курсах повышения квалификации.

Необходимо повышение предпринимательского влияния на инновационные ресурсы. И здесь первостепенной является проблема низкого уровня оплаты труда. В теории давно известна ситуация конкурентности труда и капитала - двух основных факторов производства, их значительная взаимозаменяемость. Дешевая рабочая сила делает невыгодным введение новой, но дорогой техники. Происходит в некотором роде “замещение” техники и технологий дешевыми работниками. Однако высокая стоимость рабочей силы является сильным стимулом к внедрению нововведений [1, с. 30].

Важным инструментом государственного влияния на экономические, в том числе, инновационные процессы, является государственное предпринимательство. Именно через государственные предприятия правительство реализует значительной мере свои инновационные программы и может делать это достаточно успешно. Исследования, проведенные российскими учеными, позволили сделать вывод о высокой инновационной активности российских государственных предприятий, которая не уступает частным [2, с. 87-94]. В ряде случаев она их даже превышает.

Из приведенного становится очевидным, что государство располагает действенными мерами влияния на инновационные процессы. Оно несет ответственность за развитие инновационной сферы и выступает не только как инициатор, но и как непосредственный ее исполнитель.

ЛИТЕРАТУРА

1. **Амоша О.** Інноваційний шлях розвитку України: проблеми та рішення / О. Амоша // Економіст. – 2005. – № 6. – С. 28 - 32.
2. **Балацкий Е.** Роль государственного сектора в построении “новой экономики” / Е. Балацкий, В. Коньшев // Общество и экономика. – 2004. – № 2. – С. 86 -99.
3. **Шумпетер Й. А.** Теория экономического развития / Й. Шумпетер; [пер. с нем. В.С. Автономова, М.С. Любского, А.Ю. Чепуренко]. – М.: Изд-во Прогресс, 1982 – 455 с. – (Экономическая мысль Запада).

Т.М. Остапчук (Киев, Украина)

соискатель кафедры управления муниципальным развитием
Академии муниципального управления

ЭКОЛОГИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ В КОНТЕКСТЕ ГЛОБАЛИЗАЦИИ

Важность экологической безопасности, в условиях обострения кризисных явлений в экономической, социальной и экологической ситуации Украины, переоценить невозможно. Ведь именно экономическое и социальное развитие страны может быть достигнуто благодаря экологической безопасности уже в ближайшей перспективе.

На сегодняшний день отсутствуют единодушные взгляды на суть экологической безопасности в целом. В научной литературе рядом ученых неоднократно отмечалось, что понятие экологической безопасности является сложной теоретической и недостаточно исследованной проблемой. Нет единодушно принятого толкования дефиниции "экологическая безопасность" и проблема комплексного подхода к вопросу сущности экологической безопасности остается недостаточно решенной.

В наше время глобализационные процессы получают все большее распространение и характеризуются качественно новыми направлениями проникновения в экономику любой страны. Изучение явления глобализации становится наиболее актуальным вопросам современности.

В XXI в. проблемы экологической безопасности перманентно обостряются, которые требуют, в первую очередь, исследования и раскрытия сущности и содержания понятия "экологическая безопасность". Изучая научную литературу, работы специалистов ООН, экологов международных и национальных природоохранных организаций, управленцев, социологов, определено, что нет четкого определения данного понятия. Без решения этой важной теоретической проблемы дальше практически невозможно решать насущные вопросы экологической безопасности.

Экологическую безопасность мы рассматриваем как компонент национальной безопасности, которая обеспечивает защищенность жизненно важных интересов человека, общества, окружающей среды и государства от реальных или потенциальных угроз, создаваемых антропогенными или природными факторами по отношению к окружающей среде и гарантируется законодательными актами государства.

Согласно статье 50 Закона Украины "Об охране окружающей природной среды" под экологической безопасностью понимается "такое состояние окружающей природной среды, при котором обеспечивается предупреждение ухудшения экологической обстановки и возникновения опасности для здоровья людей" [2].

Но, кроме этого законодательно закрепленного определения понятия "экологическая безопасность", существуют и другие определения понятия. В частности, И. И. Дедю отмечает, что "экологическая безопасность - любая деятельность человека, исключаящая вредное воздействие на окружающую среду".

По мнению Ф. Реймерс "экологическая безопасность - совокупность действий, состояний и процессов, прямо или косвенно не приводящих к жизненно важному ущербу (или угрозам таких ущербов), наносимых природной среде, отдельным людям и человечеству" [3].

По определению С. А. Боголюбова "экологическая безопасность - комплекс состояний, явлений и действий, обеспечивающий экологический баланс на Земле, в любых ее регионах на уровне, к которому физически, социально-экономически, технологически и политически готово (может без серьезных убытков адаптироваться) человечество" [4].

А.В. Боков определяет экологическую безопасность как "такое состояние системы" природа - техника - человек ", которое обеспечивает сбалансированное взаимодействие природных, технических и социальных систем, формирование природно-культурной среды, которая отвечает санитарно-гигиеническим, эстетическим и материальным потребностям жителей каждого региона Земли при сохранении природно-ресурсного и экологического потенциала природных систем и способности биосферы в целом к саморегуляции" [4].

С. С. Пивняк экологическую безопасность рассматривает как состояние защищенности природной среды и жизненно важных интересов человека от негативного воздействия хозяйственной деятельности, чрезвычайных ситуаций природного и техногенного характера, а также их последствий [1, ст. 29].

Таким образом, анализ литературы, нормативно-правовых актов свидетельствует о широком спектре мнений относительно определения понятия "экологическая безопасность": от обеспечения экологических прав и интересов человека, защиты экологических интересов общества и государства к обеспечению рационального использования, воспроизводства и повышения качества окружающей среды. Определение понятия экологической безопасности находится в эволюционной стадии, имеющиеся формулировки неустойчивые, постоянно модифицируются в направлении детализации и конкретизации признаков.

Стремительное развитие процесса глобализации обусловило ухудшение глобальной экологической ситуации на земле. На сегодняшний день, оказавшись в условиях обострения экологического кризиса, страны мира принимают всевозможные меры для устойчивого развития и разрабатывают национальные концепции государственной безопасности, в которой экологическая безопасность должна иметь первостепенный характер, так как экологическая безопасность является важной предпосылкой устойчивого мирового развития.

На сегодняшний день в условиях глобализации для любой страны экологическая безопасность считается обязательной, необходимой и наиболее важной частью общей государственной политики. Ведь динамичное развитие общества и государства, новый уровень межгосударственных и международных отношений, несомненно, требует улучшения состояния окружающей среды и экологии в целом. Экологическая безопасность каждого государства в отдельности определяет общую международную политическую стабильность и безопасность мира. Среди приоритетов развитых стран природоохранный аспект занимает одно из ведущих мест. Это обстоятельство создает для этих стран значительные преимущества на мировом рынке.

Учитывая реалии современности, можно утверждать, что экологическая безопасность является целью всего мирового сообщества, к которой необходимо стремиться, так как от этого зависит выживание человечества. Результатом будет такой уровень окружающей среды, который соответствует требуемому качеству жизни для поддержания здоровья и благосостояния людей в условиях устойчивого развития.

Современный этап глобализации сопровождается ухудшением состояния окружающей среды, в пределах чего прослеживается ухудшение условий существования широких слоев населения, резкое падение их жизненного уровня, проблема обеспечения экологической безопасности приобретает особую актуальность. Хотя на сегодняшний день вопрос экологической безопасности остается недостаточно разработанным с теоретической точки зрения и имеет место большое количество определений экологической безопасности и вариантов ее понимания. Наиболее удачным, на наш взгляд, является утверждение, что экологическая безопасность – это такое состояние окружающей среды, когда гарантируется предотвращение ухудшения экологической ситуации и здоровья человека.

Список использованных информационных источников:

1. Півняк С. С. Екологічна безпека України // Безпека життєдіяльності.– 2004.– № 6.– С. 29–30.
2. **Про охорону навколишнього природного середовища:** Закон України від 25.06.1991р із змінами та доповненнями № 1264-ХІІ. - [Електронний ресурс]. - Режим доступу:
<http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/1264-12>
3. **Реймерс Н.Ф.** Концептуальна екологія. Надєжди на виживаніє челоєечества // Н.Ф. Реймерс / : М., 1992.
4. **Экологическая безопасность.** Термины. Определения. – [Електронний ресурс]. – Режим доступу: <http://ecosafety.3dn.ru/publ/1-1-0-28>

შპპ 1+32+33+34+35

ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინტრინგის ფაკულტეტის პროფესორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიისა და მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების –
როგორც სახელმწიფო რეგულირებისა
და სახელმწიფო მართვის
შემადგენელი ნაწილის – თეორია**

საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრინციპულად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების პრობლემის კვლევა.

დერეგულირების პრობლემასთან დაკავშირებით, წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებულია ჩემს მიერ შექმნილი: საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების – როგორც სახელმწიფო რეგულირებისა და სახელმწიფო მართვის შემადგენელი ნაწილის – თეორია, როგორც პოლიტიკური მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმის, დერეგულირების – როგორც რეგულირებადი თავისუფლებისა, და როგორც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინების თეორია.

ამრიგად, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირება – *ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირება* – ჩემს მიერ განიხილება არა მარტო როგორც სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, როგორც სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინება და სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური მეთოდი, არამედ განიხილება აგრეთვე როგორც – რეგულირებადი თავისუფლება.

მაშასადამე, ჩემი ღრმა რწმენით, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო დერეგულირება არის არა მარტო ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინება, არამედ არის აგრეთვე – რეგულირებადი თავისუფლება, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირების ზემოაღნიშნული გააზრება და სათანადო თეორიული პარადიგმის ჩამოყალიბება ლოგიკურად გამომდინარეობს იქიდან, რომ, *ერთის მხრივ*, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დერეგულირება ნამდვილად არის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინება და სპეციფიკური მეთოდი, რამეთუ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დერეგულირებაც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, და, *მეორეს მხრივ*, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დერეგულირება არის არა მარტო სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინება და სპეციფიკური მეთოდი, არამედ ის ამავე დროს წარმოადგენს – რეგულირებად თავისუფლებას.

ამრიგად, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირება, *ერთის მხრივ*, ფაქტობრივად წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებისათვის თავისუფლების მინიჭებას, და, *მეორეს მხრივ*, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირება არეგულირებს აღნიშნულ

თავისუფლებას ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალი ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფის ასპექტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი სამართლებრივი დერეგულირება – არის რეგულირებადი თავისუფლება.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების პრობლემების აქტუალობა კიდევ უფრო გაიზარდა საკუთრების სხვადასხვა ფორმების ფუნქციონირების პირობებში, ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციის პირობებში და ა.შ., ევრეთწოდებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უფრო ზუსტად კი, უპირატესად ბაზრით რეგულირებად ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია ბევრად უფრო გართულდა XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

ამასთანავე, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების პრობლემები, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოიცავენ (უნდა მოიცავდნენ) თავის თავში ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დერეგულირების პრობლემებსაც – როგორც სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინებისა და სპეციფიკური მეთოდის პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს ტრანსფორმაციული პროცესების ეფექტიან განხორციელებას, რაც საკვლევ პრობლემას უკიდურესად აქტუალურს ხდის.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თუმცა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების პრობლემებს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება, მაგრამ ფაქტობრივად არ გვხვდება სხვა ავტორთა შრომები, რომლებშიც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირება განხილული იქნებოდა როგორც სახელმწიფო რეგულირების შემადგენელი ნაწილი – როგორც სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური გამოვლინება და სპეციფიკური მეთოდი, და როგორც რეგულირებადი თავისუფლება, მიუხედავად მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომის პრინციპული მნიშვნელობისა.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების პრობლემის აქტუალობა და პრინციპული მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე განპირობებულია, როგორც უკვე აღინიშნა, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შექმნა დიდი სირთულეები სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის და, შესაბამისად, საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თეორიული პრობლემების კვლევა.

აღნიშნული პრობლემების სიღრმისეული მეცნიერული კვლევისათვის, ჩემი აზრით, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრა, და, აგრეთვე, მოცემული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის თავისებურებებისა და ტრადიციული გაგებით საბაზრო ეკონომიკისაგან მისი განსხვავებების გამოვლენა

აუცილებლად მიმაჩნია აქ იმის აღნიშვნა, რომ ტერმინში “საბაზრო ეკონომიკა”, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იგულისხმებოდეს, ერთი მხრივ, ეკონომიკა, რომელიც გამიზნულია მაქსიმალური მოგების მიღებაზე, მისი საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით, ხოლო, მეორე მხრივ, – ეკონომიკა, რომელშიც მთავარი როლი ენიჭება საბაზრო მექანიზმებს.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ საბაზრო ეკონომიკაში ფაქტობრივად იგულისხმება ბაზრის – საბაზრო ურთიერთობების – საყოველთაო ხასიათი, რაც დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, ე.ი. ტერმინში “საბაზრო ეკონომიკა” თანამედროვე გაგებით ფაქტობრივად იგულისხმება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, რამეთუ სხვაგვარად შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსის ახსნა, მაშინ როდესაც ბაზარი – საბაზრო ურთიერთობები – და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკა არის დამახასიათებელი მხოლოდ კაპიტალიზმისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკას – იმ გაგებით, რომელიც რეალურად იგულისხმება ამ ტერმინში თანამედროვე პირობებში, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა ერქვას – უპირატესად ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, ის გულისხმობს, ერთი მხრივ, საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმებისა და საბაზრო მექანიზმების მარეგულირებელი როლის გამოყენების აუცილებლობას, და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარევის აუცილებლობას მეწარმეების თავისუფლების მაქსიმალური შენარჩუნებით შესაძლო ფარგლებში.

ამრიგად, თუ საბაზრო ეკონომიკა – არის “ეკონომიკა, რომელშიც არსებობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების სრული თავისუფლება, განვითარებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, საკუთრების ყველა ფორმებსა და მეწარმეობის სახეებს აქვთ თანასწორი შესაძლებლობები განვითარებისათვის, ხოლო სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში შეზღუდულია” [1, c. 530], და, რაც მთავარია, თუ საბაზრო ეკონომიკა – არის ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება აღნიშნული მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით, რაც საბაზრო ეკონომიკის არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა – არის ეკონომიკა, რომლის არსი განისაზღვრება – მისი, როგორც საბაზრო ეკონომიკის, მოგებისაქენ სწრაფვის პარალელურად, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტაციით, უფრო ზუსტად კი – სოციალური ორიენტაციით.

მაშასადამე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი მდგომარეობს ისეთი საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთდროულად სწრაფვა მაქსიმალური მოგების მიღებისაქენ და სოციალური ორიენტაცია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის თავისებურებების, და აგრეთვე ტრადიციული გაგებით საბაზრო ეკონომიკისაგან მისი განსხვავებების გამოვლენას, პრინციპული მნიშვნელობა აქვს საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრობლემების გადასაჭრელად.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსობრივი ბუნების პრაქტიკულ რეალიზაციას, მისი ფუნქციონირების სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩემი ღრმა რწმენით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სამართლებრივ უზრუნველყოფას.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრინციპული მნიშვნელობა გამოწვეულია იმით, რომ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია გულისხმობს ორიენტაციას ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე, რომლის ავტომატური განხორციელება შეუძლებელია, ე.ი. სამართლებრივი უზრუნველყოფა – არის საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის აუცილებელი პირობა [2, c. 6].

ამასთანავე, სამართლებრივი რეგულირების გზით საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მეცნიერებაში და პოლიტიკაში ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირებას ფაქტობრივად უპირისპირებენ მის დერეგულირებას, რამეთუ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირებაში ჩვეულებრივ გულისხმობენ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო

რეგულირებაზე უარის თქმას – საზოგადოების წევრთა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევაზე უარის თქმას, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სრულიად არასწორია ცივილიზებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეალური ფუნქციონირების პირობებში, ან ისეთი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების პირობებში, რომელიც მიღის ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირების გზით.

ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების, მის სახელმწიფო რეგულირებასთან დაპირისპირების მცდარობა, დასაბუთებულია ჩემს მიერ შემდეგი მეცნიერული არგუმენტებით:

ჯერ-ერთი, საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეალური ცივილიზებული ფუნქციონირების პირობებში, შეუძლებელია, რომ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირება ხდებოდეს თვითნებურად (თავისთავად), ესე იგი შეუძლებელია, რომ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირება სახელმწიფოში ხდებოდეს სახელმწიფოს ნების გარეშე – შეუძლებელია, რომ დერეგულირება ხდებოდეს სახელმწიფო ხელისუფლების აქტიური სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარევის გარეშე საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში.

და, მეორეც, თუმცა დერეგულირება ერთი შეხედვით ნიშნავს თითქოსდა უარის თქმას ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფო რეგულირებაზე, მაგრამ თვითონ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების პროცესი ინსტიტუციურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული თვალსაზრისით ხომ სწორედ სახელმწიფოს მიერ რეგულირდება.

უფრო მეტიც, დერეგულირებული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი თავისუფალი ფუნქციონირების უზრუნველყოფაც ხომ სწორედ სახელმწიფო მიერ ხდება.

მაშასადამე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცივილიზებული ფუნქციონირების პირობებში, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფოში არსებული კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების ჩარჩოებში – როგორც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების პროცესის, ისე ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალი ფუნქციონირების ინსტიტუციურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის შემთხვევაში.

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ანუ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირების არარსებობის პირობებში, დერეგულირებული ეკონომიკის რეგულირება მოხდება კრიმინალური ელემენტების მიერ, რამეთუ, როგორც ცნობილია, “წმიდა ადგილი ცარიელი არ რჩება”.

ამასთანავე, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირების – როგორც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმის – ჩემს მიერ შემუშავებული თეორიის შემოთავაზებისას, მხედველობაში მაქვს არა სახელმწიფოს უშუალო ჩარევა და, შესაბამისად, არა სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა დერეგულირებული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში, არამედ ვგულისხმობ სახელმწიფოს მიერ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნას დერეგულირებული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისევე როგორც, საერთოდ, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, ფექტიანი ფუნქციონირებისათვის ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ინტერესებისათვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეალური, და, მით უფრო, ცივილიზებული ფუნქციონირების პირობებში – საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების

პირობებში, სადაც საბაზრო ურთიერთობებს, ისევე როგორც საზოგადოების მთელ ეკონომიკურ ცხოვრებას, აქვს სოციალური ორიენტაცია, ე.ი. სადაც საბაზრო ურთიერთობები და საზოგადოების მთელი ეკონომიკური ცხოვრება მიმართულია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე, რომლის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ინსტიტუციურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარეშე, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირება შეიძლება განიხილებოდეს, და უნდა განიხილებოდეს, მხოლოდ როგორც მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განსხვავდება ტრადიციული საბაზრო ეკონომიკისაგან არა მარტო უბრალოდ საბაზრო ურთიერთობების სოციალური ორიენტაციით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, განსხვავდება იმით, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო-ეკონომიკური სისტემა ხასიათდება სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევით ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ე.ი. ხასიათდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლით საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ფუნქციონირებაში, რის გარეშეც ხალხის ინტერესების პრაქტიკული რეალიზაცია განუხორციელებადია.

მაშასადამე, ძნელია დაეთანხმო ადამ სმიტის თეორიას, რომლის თანახმად ხალხის ინტერესების განხორციელება თითქოსდა ხდება ავტომატურად, ბაზრის “უხილავი ხელის” მოქმედების შედეგად [3, c.332].

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ, როგორც მე ადრე აღვნიშნავდი, “თუ ა. სმიტოს დროს “უხილავი ხელის” თეორიას მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამჟამად სიღრმისეული შეცდომაა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მხოლოდ კონკურენციით დაკმაყოფილება და მხოლოდ “უხილავი ხელის” იმედზე ყოფნა, რამეთუ, ჯერ-ერთი, მაქსიმალურად შესაძლო ეკონომიკური ზრდა, ამასთან ერთად, ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებისათვის მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლების შენარჩუნებით, მიუღწევადია საზოგადოებაში სახელმწიფოს მარეგულირებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული როლის გარეშე, და, მეორეც, მაღალი ეკონომიკური შედეგებიც კი, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების გარეშე, შეუძლებელია, რომ ავტომატურად ტრანსფორმირებული იქნეს სოციალურ ორიენტაციაში, და მით უმეტეს, ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციაში” [4, c. 3-4].

თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ, *ჩემი ღრმა რწმენით, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი დერეგულირება თავისთავად არ შეიძლება ნიშნავდეს და არც ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას, რამეთუ სახელმწიფო, იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორია საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის მიზნობრივი მიმართულება [5], შეიძლება არეგულირებდეს ეკონომიკას არა მხოლოდ სოციალური მიზნიდან გამომდინარე, არამედ პირიქითაც კი, ე.ი. სახელმწიფო შეიძლება არეგულირებდეს ეკონომიკას ეკონომიკური მიზნიდან გამომდინარეც, და მას (სახელმწიფოს) შეუძლია ფაქტობრივად არც კი გაითვალისწინოს ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის აუცილებლობა.*

ამიტომ, *ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მარეგულირებულ როლთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულად უნდა მიექცეს ყურადღება სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობას არა მარტო მისი ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, არამედ მისი სოციალური ორიენტაციის მიზნითაც, რამეთუ სახელმწიფო რეგულირება ფაქტობრივად შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდევ საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.*

ამასთანავე, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ დერეგულირებას – როგორც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფორმას, განსაზღვრულ

კონკრეტულ პირობებში შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას, ისე საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია კიდევ ერთხელ გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ, *ჩემი ღრმა რწმენით*, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი დერეგულირება წარმოადგენს მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას, რამეთუ ეკონომიკის დერეგულირებაც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ [6, c. 30-31].

ამრიგად, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეგულირების პრობლემების სიღრმისეულ მეცნიერულ ანალიზს *ძვეყვართ მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნაზე* იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების პროცესი, *და, ამასთანავე*, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი სამართლებრივი დერეგულირება არის – რეგულირებადი თავისუფლება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დერეგულირება – როგორც რეგულირებადი თავისუფლება, *ჩემი ღრმა რწმენით*, წარმოადგენს ეფექტიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური მენეჯმენტის აუცილებელ საფუძველს, რამეთუ ეკონომიკის, *ისევე როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს*, კომპლექსური პოლიტიკურ-ეკონომიკური მართვა, რომელშიც ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე შეხამებული იქნება – *სახელმწიფოს მიერ ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, როგორც უშუალო რეგულირება*, ისე მათი დერეგულირება – *როგორც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა*, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში, *რის გამოც*, დერეგულირება ნამდვილად შეიძლება განვიხილოდ – როგორც რეგულირებადი თავისუფლება, *და როგორც ეფექტიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური მენეჯმენტის აუცილებელი საფუძველი*.

სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებაში იმითაც დასტურდება, რომ, *როგორც პროფესორი ალფრედ კურატაშვილი აღნიშნავს*, “თუმცა ეკონომიკას ყოველთვის განიხილავდნენ როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების საფუძველს, მაგრამ სათანადო არაეკონომიკური – იდეურ-თეორიული, ინტელექტუალური – საფუძველების, ... გამოყენების გარეშე, თვითონ ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია” [7, c. 30-31].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება – ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების დერეგულირების ჩემს მიერ შექმნილი თეორიის სისწორე, რომლის თანახმად, დერეგულირება – *ეს არის რეგულირებადი თავისუფლება*, და არის პოლიტიკური მენეჯმენტის – სახელმწიფო მართვის – შემადგენელი სპეციფიკური ნაწილი.

ლიტერატურა

1. *Экономическая теория* /Под ред. А. И. Добрынина, Л. С. Тарасевича: Учебник для вузов. 3-е издание. – СПб: Изд. СПбГУЭФ, Изд. “Питер Ком”, 1999.
2. *Кураташвили Анзор А.* Рыночная экономика и правовой фактор. BULLETIN “Medicine, Science, Innovation and Business New” (“Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира”). Volume 6, Number 7 (57), July, 1999. New York, USA.
3. *Смит А.* Исследование о природе и причинах богатства народов. М.: Издательство социально-экономической литературы, 1962.

4. Кураташвили Анзор А. Социально ориентированная рыночная экономика в условиях конкуренции. BULLETIN “Medicine, Science, Innovation and Business New” (“Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира”). Volume 9, Number 4 (75), April, 2002. New York, USA.

5. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

6. კურატაშვილი ანზორ. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია ქართულ ენაზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2008.

7. კურატაშვილი ალფრედ. პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები. *მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

Е.Я. Немировская (Киев, Украина)

Доцент кафедры государственного управления и местного самоуправления
Академии муниципального управления, кандидат наук по государственному управлению

**О РОЛИ И СТАТУСЕ ГОСАДМИНИСТРАЦИЙ
В СИСТЕМЕ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ
СОВРЕМЕННОЙ УКРАИНЫ**

Вопросам совершенствования деятельности местных государственных администраций уделялось значительное внимание с момента их возникновения в Украине. Их создание и деятельность на начальном этапе точнее всего, на наш взгляд, можно определить с точки зрения необходимости присутствия украинского государства во всех регионах страны. Для периода доконституционного (имеется ввиду Конституция независимой Украины, принятая в 1996 году) существования местной администрации в Украине стало характерным острое противостояние двух её центров – органов местного самоуправления и непосредственно государственных администраций. Их правовой статус в законодательстве был обозначен лишь в общем виде, что, в том числе, создавало предпосылки для неоднократных изменений моделей осуществления местной власти в стране. Однако, даже при кардинальном изменении центральной государственной власти (досрочные президентские и парламентские выборы 1994 года) необходимость в госадминистрациях продолжает быть актуальной. Хотя они и исчезают на некоторое время из правового поля Украины. Вместе с тем, новый президент отстаивает право на их существование и возвращает своё влияние в регионах, хотя и в несколько видоизменённом виде, нежели это было в 1992 году. Принятие Конституции Украины в 1996 году окончательно закрепило существование в политико-административной системе институт госадминистраций как представительство Центра и проводников государственной политики в областях, районах, а также в городах, имеющих специальный статус – Киеве и Севастополе. Постконституционное функционирование администраций охарактеризовалось совершенствованием их деятельности в ходе многочисленных правовых и организационных изменений, затронувших их структуру и полномочия. В то же время в научной и политической сферах не прекращаются дискуссии о необходимости рассмотрения вопроса о ликвидации госадминистраций или же о существенном сокращении их полномочий, перераспределении в пользу органов местного самоуправления.

Необходимо отметить, что большинство дискуссий вызвано комплексом нерешённых вопросов вокруг госадминистраций в Украине. Так, за президентом Украины закреплены существенные полномочия в вопросах назначения и увольнения глав госадминистраций. При этом президент по Конституции Украины не входит ни в одну из ветвей власти, а госадминистрации являются элементом системы исполнительной власти, возглавляемой Кабинетом Министров и Премьер-министром Украины, которые, в свою очередь, имеют ряд важных полномочий по управлению местными органами государственной власти общей компетенции. Такая ситуация на практике порождает «двоевластие» в управлении и контроле над госадминистрациями и, соответственно, приводит к ухудшению их деятельности.

Кроме того, за все годы существования госадминистраций в Украине не решён вопрос о разделении и законодательном закреплении различного по своей сути статуса госадминистраций на районном и обласном уровне, что требует пересмотра вопроса формирования администраций разных административно-территориальных уровней.

Остаётся нерешённым вопрос и о сегодняшнем статусе районных государственных администраций, поскольку существуя де-факто, де-юре их статус не определён в современном законодательном поле Украины. До 2010 года в Киеве этот вопрос решался

через наделение районных в городе Киеве администраций паралельно полномочиями исполнительного органа районных в городе советов. Однако с ликвидацией последних за администрациями остался лишь статус органов исполнительной власти, подчинённых городской госадминистрации, что, как отмечалось, не урегулировано современным законодательством Украины.

Приходим к выводу, что институт госадминистраций играет важную роль в процессе становления не только системы местной государственной администрации, но и всей украинской государственности. Однако наличие вышеуказанных нерешённых проблем усложняет как контроль за ними со стороны вышестоящих органов государственной власти, так и непосредственно их функционирование, а соответственно реализацию возложенных на них функций.

თამარ ბაჩიაშვილი (თელავი, საქართველო)

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ტურიზმი და საზოგადოებრივი ურთიერთობების
ეკონომიკური და სოციალური
ეფექტიანობის პრობლემა**

თანამედროვე ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი მოიცვა.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ მოხდა ეკონომიკური კაპიტალის ჩანაცვლება ადამიანური კაპიტალით. სწორედ ადამიანური კაპიტალი გახდა თანამედროვე გლობალურ სამყაროში დომინანტური ძალა.

ცივილიზებული მსოფლიოს განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა:

- ტექნოლოგიური განახლების განსაკუთრებით მაღალი ტემპი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ზრდა;
- დიდი ძვრები კულტურისა და კერძო ცხოვრების სფეროებში;
- ინდუსტრიული საზოგადოებების გლობალურ კავშირებში ჩაბმა და გაერთიანება.

მოცემული ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სოციალური ცვლილებები ასახვას პოვენენ როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე მთლიანად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ დონეზე მიმდინარე ცვლილებებმა ხელი შეუწვეს ახალი სტანდარტების დამკვიდრებას ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით.

თანამედროვე საზოგადოებაში კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდამ გამოიწვია ტურიზმის სფეროს განვითარება.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ტურიზმი და საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობები ჩართულნი არიან საზოგადოების ინსტიტუციონალურ კონტექსტში, რაც ლოგიკურად იწვევს ტურიზმის მნიშვნელობისა და მისი გავლენის ზრდას ეკონომიკურ ურთიერთობათა ეფექტიანობის ამაღლებაზე.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ინდივიდთა გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროს კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

ჩვენი აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური სტრუქტურის გათვალისწინება, სოციალური და გეოგრაფიული მობილურობის ზრდა, ფასეულობითი ორიენტაციის სტრუქტურის ცვლილებები, სოციალური პროტესტის ინდივიდუალიზაცია დაკავშირებულია სახელმწიფო დონეზე მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან, რაც ტურიზმის ეფექტიანობის პრობლემას სულ უფრო მეტად აქტუალურს ხდის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში „ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია არა მარტო ბუნებრივ, სანედლეულო და საწარმოო რესურსებთან, არამედ ისე ძნელად საზომ ფაქტორებთან, როგორცაა ხალხთა ტრადიციები, რელიგიური აღმსარებლობა და კულტურული ღირებულებანი, წეს-ჩვეულებები, სამართლებრივი კულტურა და ეკონომიკური საქმიანობის წარმოების სამართლებრივი პირობები“ [1, გვ. 197].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ყურადღებას იმსახურებს კულტურის გავლენის შესწავლა ტურიზმის ეფექტიანობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია კულტურის რეგულატორული როლის კვლევა ტურიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაში.

ეკონომიკა, როგორც ცნობილია დაინტერესებულია წარმოების პროცესის ელემენტებით: სამუშაო ძალით, კაპიტალით, მიწით, ნედლეულით და მანქანა-დანადგარებით. მისი ყურადღების მიღმა რჩება ამ ელემენტების დაკავშირების წესი, რომელზეც გავლენას ახდენს ამა თუ იმ კულტურის შიგნით არსებული დოვლათის შექმნასთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ქვეყნის ტურიზმი საინტერესო და მნიშვნელოვანია კულტურული მახასიათებლების შესწავლის თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, ყოველ კულტურაში არსებობს გარკვეული მზა კულტურული მოდელი, რომლის საშუალებითაც სოციოკულტურული გარემო გავლენას ახდენს შიდა სამუშაო კულტურაზე, რაც ასახვას ჰპოვებს საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაზე.

კულტურულ გარემოთა განსხვავების გამოსავლენად კვლევა ჩატარდა კნადაში, ინდოეთში, იაპონიაში, ამერიკასა და ჩინეთში.

ორივე კულტურაში, როგორც ინდურ, ასევე კანადურ კულტურაში გამოვლინდა შიდა სამუშაო კულტურასა და საზოგადოებრივი რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკაზე სოციოკულტურული გარემოს სხვადასხვაგვარი გავლენა. შესწავლილი იქნა მიმართებები ამ ცნებებს შორის ორივე კულტურულ ჯგუფში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კულტურული არგუმენტები ერთ-ერთი დომინანტურია ჩინური მენეჯმენტის ინტერპრეტაციისას.

იაპონიისგან განსხვავებით, სადაც ფირმისადმი ლოიალურობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, ჩინური ლოიალობის იდეალი უმეტესად ვრცელდება არა ფირმაზე, არამედ – ოჯახური საწარმოების ქსელზე. „ნათესაური კავშირები მნიშვნელოვანია თანამედროვე ჩინეთის ეკონომიკური სისტემის ბუნების გასაგებადაც. წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში (სინგაპური, მალაიზია, ონდონეზია, ჰონგ კონგი, ტაივანი) მცხოვრები ჩინური დიასპორა, წარმოშობით, ძირითადად, ჩინეთის სამხრეთ პროვინციებიდან – ფუცზიანიდან და ფუან-დუნდანიდან არიან და დღემდე ინარჩუნებენ ნათესაურ კავშირებს ჩინეთთან.

ამ პროვინციებში ეკონომიკური განვითარება, მეტწილად, ოჯახური და საგვარეულო ორგანიზაციების გავლით ჩინური კაპიტალის შემოდინებით იყო განპირობებული.

ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი მთავრობა ეპატიჟება ბიზნესმენებს ამ ქვეყნებიდან, განსაკუთრებით, ტაივანიდან, რომელიც სამხრეთ პროვინციებს ესაზღვრება და სთავაზობს საკმაოდ შეღავათიან პირობებს ბიზნესის საწარმოებლად, ამგვარი ნათესაური კავშირების არსებობა კუნძულის ჩინურ დიასპორას გარკვეული სტაბილურობის შეგრძნებას უჩენს, ჩინურ ეკონომიკაში ინვესტორების შემთხვევაში, ეს ფაქტი გასაგებს ხდის, თუ რატომ წარმოადგენენ ოკეანისმიღმა ჩინელი ინვესტორები სხვა უცხოელი-იაპონელი, ამერიკელი და ევროპელი – ინვესტორებისათვის დასაყრდენს [2, გვ. 111].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ კულტურალური ფაქტორები, არამედ რელიგიური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

„ახლა მსოფლიო ეკონომიკა ნებისმიერი რიგითი მოქალაქისათვის აღარაა წმინდა გონებაჯვრეტი მუცნიერება. ადამიანები მუდმივ კონტაქტში არიან სხვადასხვა ქვეყნის და ცივილიზაციის წარმომადგენლებთან. მეგაეკონომიკურ გარემოში ისინი ახლოვდებიან, წარმართავენ საერთო ბიზნესს, ერთობლივ გამოკვლევებს, მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში, და ბოლოს, ურთიერთობა აქვთ ინტერნეტით. ყოველივე ამისთვის სასარგებლოა,

და აუცილებელიც კი, იცნობდე შენს პარტნიორს. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო და ქცევის რეაქციის პროგნოზირება მოახდინო უნდა იცოდე მისი ფასეულობათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში ღვეს“ [1, გვ. 202].

ამრიგად, კულტურული და რელიგიური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ, კი ტურიზმზე, რასაც მოცემული მიმართულებით ჩატარებული კვლევები ცხადყოფს.

თანამედროვე ეტაპზე დომინანტურია ფართომასშტაბიანი ინტერკულტურალური ეკონომიკური კონკურენცია განსხვავებულ კულტურებს შორის, მაგრამ წარმოებისა და გაცვლის ეკონომიკურ პროცესებზე კულტურის გავლენის კვლევა მოიცავს, როგორც კულტურის მაკონსტიტუირებელი, აგრეთვე, კულტურის რეგულატორული როლის კვლევას.

ა. ტომპენარის და ჩ. პამპდენ-ტერნერის მიერ შესწავლილ იქნა წარმოების სფეროში კულტურათა განსხვავებები, რომლებსაც საფუძვლად დაედოთ მსოფლიოს თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენელი 15000 მენეჯერის გამოკითხვის შედეგები.

კვლევის პროცესში გაიზომა შვიდი ბაზისური ღირებულება, რომელსაც ნებისმიერი ორგანიზაციის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ესენია:

1. ინდივიდუალიზმი – კომუნიტარიანიზმი;
2. უნივერსალიზმი – პარტიკულარიზმი;
3. მიღწეული სტატუსი – ასკრიპტული სტატუსი;
4. ანალიზი – ინტეგრაცია;
5. დრო, როგორც თანმიმდევრობა – დრო, როგორც სინქრონიზაცია;
6. შიგნით მიმართული – გარეთ მიმართული ორიენტაცია;
7. თანასწორობა – იერარქია [2].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განსხვავებული კულტურები ღირებულებების ინტეგრაციას სხვადასხვა საწყისი წერტილიდან იწყებენ.

ჩვენი აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში განსხვავებული ღირებულებების კომბინაცია პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან კროსკულტურალური საქმიანობა ტურიზმის სფეროში თანდთანობით მკვიდრდება და უფრო მეტად მასშტაბური ხდება.

როგორც ამტკიცებენ, სხვადასხვა საზოგადოებაში ადამიანები კი არა, ის გარემოებები განსხვავდებიან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რაც საკმარისია განსხვავებული ქცევების ასხსნელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ფაქტორები, რომლებიც ზეგვლენს ახდენს ადამიანის ქცევაზე, კულტურის განვითარებასა და ცვლილებებზე თანამედროვე ეტაპზე აქტუალური კვლევის საგანს წარმოადგენს.

ყურადღებას იმსხურებს ის ფაქტი, რომ გლობალურ სამყაროში, მილიონობით ადამიანი ერთიანდება Second Life-ისა და There.com-ის მსგავს ვირტუალურ სამყაროში და ქმნიან კიბერ ორეულებს, რომელთა საშუალებითაც ურთიერთობენ, ეძებენ ან მართავენ თავიანთ საქმიანობებს. შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალური სამყაროები უკვე ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებენ არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ ტურისტულ საქმიანობაში. მასში უამრავი ადამიანია ჩართული, რომელთაც სხვებთან ურთიერთობის სურვილი ხიბლავთ. ეს გასაკვირი არც არის. ადამიანი ხომ სოციალური არსებაა, რომელიც დამოკიდებულია სხვა ადამიანთა ქმედებებსა და ექსპრესიაზე, თუნდაც, ეს სხვები ვირტუალური ორეულები იყვნენ.

თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდთა გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებობს პრობლემათა გარკვეული კატეგორია, რომლებიც დროულ ჩარევას საჭიროებენ,

რათა არ მოხდეს მათი უკიდურესი გამწვავება, რაც საბოლოოდ სახელმწიფო პოლიტიკას კატასტროფამდე მიიყვანს.

ჩვენი აზრით, სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში უმუშევრობის დონის გაზრდამ ლოგიკურად გამოიწვია სიღარიბის ზრდის პროცესის დაჩქარება, რაც გარკვეულად ხელს უშლის შიდა ტურიზმის განვითარებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოციალური სტრატეგიკაციის სხვადასხვა სისტემაში არსებული იერარქიის განსხვავებული საფუძვლების მიუხედავად, ისინი ასე თუ ისე უკავშირდებიან რამდენიმე ძირითად მარკენებლებს, როგორებიცაა: განათლების დონე, პროფესია და შემოსავლების ოდენობა.

მოცემული კრიტერიუმები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

კერძოდ, დაბალი განათლების დონე, ისევე როგორც არაპრესტიჟული პროფესია თითქმის პირდაპირ განაპირობებენ დაბალ შემოსავალს, ყოველივე ეს კი, თავის მხრივ ძნელად მისაღწევს ხდის ღარიბებისათვის კარგ განათლებას და შესაბამისად, პერსპექტიული პროფესიის დაუფლებას.

უმუშევრობა და სიღარიბე თანამედროვე გლობალურ სამყაროში წარმოადგენენ მაკროეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სწორი და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ქვეყანაში სამუშაო ადგილების გაჩენას, ვინაიდან ნებისმიერი მოვლენა, რომელიც უკავშირდება უმუშევრობის დონეს ხელფასის საშუალო დონეს და ა.შ., გარდაუვალად აისახება ინდივიდთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებში.

სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ერთიანი პოლიტიკის ორ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის შემუშავება სცილდება მხოლოდ სოციალური ადმინისტრაციის ინსტიტუტების კომპეტენციას და ინტეგრირებულია ეკონომიკურ სფეროსა და სხვა ინსტიტუტთა პოლიტიკასთან.

ცხადია, რომ მხოლოდ სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შემთხვევაშია შესაძლებელი სოციალურ პრობლემათა გადაჭრა.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სწორედ ტურიზმის გავლენის ამაღლება საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობაზე, აბსოლუტურად განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს ყველა იმ ეკონომიკურ პრობლემატიკას, რომელთა განხილვა მხოლოდ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მიმდინარეობდა და უკანა პლანზე ტოვებდა იმ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ პროცესებზე.

ლიტერატურა

1. ვეშაბიძე შოთა, გრიშკაშვილი ანზორ, ლეკაშვილი ეკა, ასლამაზიშვილი ნანა. მსოფლიო ეკონომიკა (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი, 2008.
2. სურმანიძე ლალი. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები. ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“

მედეა შენგელია (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის დოქტორანტი

საავტორო უფლებების მართვის პრობლემები საქართველოში

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია საავტორო უფლებების დაცვა, რაც თავისთავში გულისხმობს საავტორო უფლებების მართვას, კერძოდ, ნებართვის გაცემასა და საავტორო ჰონორარის შეგროვებას.

ძოგადად, როგორც წესი ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც იქმნა ნაწარმოები - „ინტელექტუალური კაპიტალი“. ავტორს არც თუ ისე მცირე შრომის გაწევა უწევს ასეთი „კაპიტალის“ შესაქმნელად და ამ პროცესის შედეგი – ნაწარმოები მის ისეთივე საკუთრებას წარმოადგენს, როგორც სხვისთვის არის მაგალითად, საწესდებო შენატანი რომელიმე ბიზნესში, ან საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება.

შესაბამისად, არავის არა აქვს უფლება, ავტორის ნებართვის გარეშე მის ნაწარმოები (საკუთრება) გამოიყენოს და ამით მიიღოს ან არ მიიღოს სარგებელი.

ნაწარმოების გამოყენებას, რომელიც საავტორო უფლებითაა დაცული, რიგ შემთხვევებში სჭირდება შესაბამისი ნებართვა ავტორისაგან და საავტორო ჰონორარის გადახდა. საავტორო უფლებების მართვის ორი გზა არსებობს. პირველ შემთხვევაში შეიძლება ეს თავად ავტორმა იტვირთოს, ხოლო სხვა შემთხვევებში ამას საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ახორციელებს, რაც, ვფიქრობ, ბევრად ეფექტური და მოქნილი გზაა, როგორც მოსარგებლის, ასევე ავტორისათვის შესაბამისი მიზნის მისაღწევად. საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებზე გავამახვილებთ ყურადღებას სტატიაში.

საავტორო უფლებების მართვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების სამართალშეგნება. სხვა განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ქართველი ხალხისთვის ამ ინსტიტუტის გაგება და შესისხლხორცება სირთულეს წარმოადგენს. ავტორის უფლებების დაცვა სიახლეა სოციუმისთვის და ისევე და ისევე ჩვენი მენტალობიდან გამომდინარე საკმაოდ რთულია მოსარგებლეს გააგებინო, რომ თუნდაც სავაჭრო დაწესებულება, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ტანსაცმლის ან საკვების ფართო არჩევანს და იყენებს მუსიკალურ ნაწარმოებს მომსახურების გაწევის ადგილის გასახმოვანებლად, ვალდებულია აიღოს ნებართვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციიდან და გადაიხადოს საავტორო ჰონორარი. ასეთი დაწესებულებას მიაჩნია, რომ ის მის ორგანიზაციაში მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებით არ იღებს შემოსავალს, არამედ შემოსავალს იღებს იმ პროდუქტების რეალიზაციით, რასაც მომხმარებელს სთავაზობს.

აქ ისმის კითხვა: მაშ რატომ იყენებს მუსიკალურ ნაწარმოებს?!

ამ კითხვის პასუხად შეიძლება ითქვას, რომ სავაჭრო დაწესებულებამ ასეთ შემთხვევაში მიიღო მარკეტინგულად სწორი გადაწყვეტილება, სასიამოვნო ფონი შეუქმნა მომხმარებელს, ისინი დიდხანს დააყოვნა მის დახლთან და აარჩევინა ის საქონელი, რომლის რეალიზაციასაც ახდენდა დაწესებულება.

ამრიგად, ამკარად ვხედავთ რაოდენ მნიშვნელობის მქონეა ავტორის შემოქმედების როლი ბიზნესის განვითარებაში.

გამომდინარე აქედან მიმაჩნია რომ ასეთი დაწესებულებები უნდა იხდიდნენ გონივრულ და სამართლიან საავტორო ჰონორარს ავტორისათვის, რათა მათი ინტელექტუალური შრომა იყოს დაფასებული საქართველოში და მიეცეთ მეტი მოტივაცია შემოქმედ ადამიანებს უფრო

მეტი ნაწარმოებები შექმნან, რომლითაც ისარგებლებენ თავად ავტორები და მოსარგებლებები (ბიზნეს სუბიექტები).

ერთი შეხედვით, შეიძლება უსამართლოდ მოგვეჩვენოს, როდესაც, მაგალითად, მოსარგებლე შეიძენს დისკს, რომელიც შექმნილია საავტორო უფლების მფლობელის ნებართვითა და შესაბამისი საავტორო ჰონორარის გადახდით, თუმცა ბიზნესის სუბიექტი – ამ შემთხვევაში რომელიმე სავაჭრო დაწესებულება ვერ იყენებს მომსახურების ადგილის განმარტებისათვის კოლექტიური მართვის ორგანიზაციისაგან ნებართვის გარეშე, ვინაიდან ამ პროდუქტის მიწოდება პირებისთვის, რომლებიც ოჯახის წევრთა ან ახლობელთა რიცხვს არ მიეკუთვნებიან, საქართველოს საავტორო კანონმდებლობის თანახმად, საჯარო შესრულებად ითვლება და აქედან გამომდინარე, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ნებართვა და ჰონორარის გადახდაა საჭირო. თუმცა საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ევროკავშირის დირექტივების [1] გარდა, მარტივად რომ შევხედოთ ამ საკითხს, ჰონორარის შეგროვების აუცილებლობის მთელი რიგი მიზეზები არსებობს. მართალია, მოსარგებლისათვის, რომელსაც კონკრეტული თანხის გადახდა უწევს, საკმაოდ უსამართლოდ ჩანს ეს ყოველივე, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სხვა სიკეთესაც ემსახურება. კერძოდ, საქართველოში კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ შეგროვებული საავტორო ჰონორარის 80 პროცენტი მიდის ავტორებთან და ეს ბევრი ავტორისთვის ერთადერთი საარსებო წყაროა და ამასთანავე მოტივაცია-განგრძობის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა.

ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ საავტორო ჰონორარის განაკვეთი სავაჭრო დაწესებულებაში – ობიექტის ფართობის მიხედვით დგება. ეს პრობლემა იმიტომ, რომ ასეთ მოსარგებლებებს შეიძლება ერთნაირი ფართობი ჰქონდეთ და ამის მიხედვით ერთნაირი საავტორო ჰონორარის გადასახადი განესაზღვროთ. თუმცა ასეთ დროს სავაჭრო დაწესებულებებს შეიძლება მკვეთრად განსხვავებული შემოსავალი ჰქონდეთ. მოსარგებლისთვის ეს ფაქტი უკმაყოფილებას იწვევს და გადასახდელი ჰონორარის ამ ხერხით დათვლა უსამართლოდ მიაჩნიათ. თუმცა აქ მთელი რიგი გარეშე ფაქტორებია, მაგალითად, ის, რომ მათი შემოსავალი კონფიდენციალურია და ტარიფების დადგენისას, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მხოლოდ მოსარგებლის კეთილსინდისიერებაზე ვერ იქნება დამოკიდებული. თავად საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტშიც წერია, რომ „ლიცენზიების პირობები ანალოგიური უნდა იყოს ერთი კატეგორიის ყველა მოსარგებლისთვის“ [2]. შესაბამისად, ვასკვნით, რომ არ შეიძლება ერთი და იმავე ტიპის მოსარგებლების სხვადასხვა პირობებში ჩაყენება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მსოფლიოშიც სავაჭრო დაწესებულებების მიერ გადასახდელი საავტორო ჰონორარის სხვაგვარი დათვლის მექანიზმი არ არსებობს.

ასევე დიდი პრობლემაა საზოგადოების აზრი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონთან დაკავშირებით. საზოგადოებას მიაჩნია, რომ კანონი დაწერილია მხოლოდ ავტორის დასაცავად და სხვა დანარჩენი ხალხის ინტერესებს არ ემსახურება, რაც არ არის სწორი მოსაზრება და მნიშვნელოვანია, რომ ავტორის მიერ თავისი ნაწარმოების გამოყენების შეზღუდვა რაიმე კაბალურ საქციელად და კანონით მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენებად არ აღვიქვამთ.

საქართველოს საავტორო კანონმდებლობით ვერავინ ვერ აუკრძალავს პიროვნებას, პირადი მოხმარებისთვის გამოიყენოს ესა თუ ის ნაწარმოები და, ზოგადად, საავტორო ქონებრივი უფლებების შეზღუდვის მთელი რიგი საფუძვლები არსებობს, ვინაიდან ქონებრივი (განსაკუთრებული) უფლება არის საკუთრებითი უფლება. საკუთრება კი, როგორც ვიცით, გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს და არც საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონია გამონაკლისი და მასში გათვალისწინებულ იქნა როგორც საავტორო, ისე მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები. საავტორო მორალური უფლებები შეზღუდვას არ ექვემდებარება, იზღუდება მხოლოდ განსაკუთრებული უფლებები. ასევე, არის კიდევ ერთი გარემოება; კერძოდ,

შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ უფლებებზე. გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე უფლებების შეზღუდვა დასაშვებია ორ შემთხვევაში: 1) ნაწარმოების გამოყენება სასამართლო წარმოებისთვის ან/და მუსიკალური ნაწარმოების გამოყენება ოფიციალური და სამგლოვიარო ცერემონიების დროს. მოსარგებლეს არ უწევს ნაწარმოებთან დაკავშირებულ ყოველ ქმედებაზე ჰონორარის გადახდა და ის ხშირად გათავისუფლებულია ამგვარი ვალდებულებისგან. კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ გარემოებებს, როდესაც მას შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე. შესაბამისად, ეს კანონი არ არის გათვლილი მხოლოდ ავტორთა დაცვაზე და საზოგადოების ინტერესებიც გათვალისწინებულია.

საბოლოო ჯამში, მივდივართ იმ აზრამდე, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ გარემოებასთან ერთად, საავტორო უფლებების მართვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ინფორმირებულობა და უნდა ითქვას, ამ მიმართულებით საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი დადებითი აქტივობა შეინიშნება, რაც მისასალმებელია.

ლიტერატურა

- 1. Directive on collective management of copyright – 04.02.2014;**
http://ec.europa.eu/internal_market/copyright/management/index_en.htm
- 2. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის – 1999წ**

ნინო კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური
პოლიტიკის და მისი სამართლებრივი
უზრუნველყოფის პრობლემა**

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსისა და ამ პოლიტიკის სპეციფიკური ნიშნების მეცნიერული კვლევა და სათანადო დასკვნების გაკეთება – საზოგადოებრივი ცხოვრების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მართვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ამასთანავე, აღნიშნული კვლევის ჩატარებას უდავო მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემების გადასაჭრელად.

თუმცა ჩვენი კვლევის პრობლემას სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს, მაგრამ, ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ და ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო ამის შემდეგ განვიხილოთ უშუალოდ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსი და სპეციფიკური ნიშნები.

პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ნიშნავს სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას [1, გვ. 352].

ამასთანავე, ამჟამად მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ, როგორც ”ფილოსოფიურ ენციკლოპედიურ ლექსიკონშია” აღნიშნული, პოლიტიკაში ესმით მეცნიერება სახელმწიფოს ამოცანებისა და მიზნების შესახებ, და აგრეთვე საშუალებების შესახებ, რომლებიც იმყოფება მის (ე.ი. სახელმწიფოს) განკარგულებაში ან ხდება აუცილებელი ამ მიზნების შესასრულებლად [1, გვ. 352].

სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური, როგორც ცნობილია, ნიშნავს საერთოს, საზოგადოებრივს [1, გვ. 429].

აქედან გამომდინარე, სოციალური პოლიტიკა არის ”საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის, მისი ძირითადი ფენების, ჯგუფებისა და კატეგორიების ცხოვრების პირობებზე ზეგავლენასთან. შეიცავს განყოფილებებს: შემოსავლების, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის რეგულირების პოლიტიკას, პოლიტიკას განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო და სხვა სფეროებში. სოციალური პოლიტიკა ორიენტირებულია ადამიანზე, მისი უფლებების დაცვაზე, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით. სოციალური პოლიტიკის მიზანია ადამიანის როგორც ნებისმიერი საზოგადოების უზენაესი ფასეულობის მხარდაჭერა და განვითარება. სოციალური პოლიტიკის მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია დამოკიდებულია პოლიტიკურ მოწყობაზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე, საკუთრებრივ ურთიერთობებზე, მართვის სტრუქტურაზე, კულტურაზე, მორალზე, ისტორიისა და ტრადიციების თავისებურებებზე” [2, გვ. 579].

ამრიგად, სოციალური პოლიტიკა დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანის, ხალხის პრობლემებთან და მათ რეალიზაციასთან.

რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ ”თანამედროვე ეკონომიკური ლექსიკონის” თანახმად, ეკონომიკური პოლიტიკა – არის მოქმედებების გენერალური ხაზი, რომელსაც სახელმწიფო ატარებს, ეს არის ეკონომიკის მართვის სფეროში ღონისძიებათა სისტემა, ეკონომიკური პროცესებისათვის განსაზღვრული მიმართულებების მიცემა ქვეყნის მიზნების, ამოცანების, ინტერესების შესაბამისად, რომელიც ”შეიცავს სტრუქტურულ, ინვესტიციურ, საფინანსო-საკრედიტო, სოციალურ, საგარეო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგადასახადო, საბიუჯეტო პოლიტიკას” [3, გვ. 394].

ძირითადად ვეთანხმებით რა ეკონომიკური პოლიტიკის ზემოაღნიშნულ განსაზღვრას, ამავე დროს მიგვაჩნია, რომ თუმცა ეკონომიკური პოლიტიკა საბოლოო ჯამში უნდა ემსახურებოდეს სოციალურ პოლიტიკას, მაგრამ თავისთავად ეკონომიკური პოლიტიკა არ შეიცავს თავის თავში სოციალურ პოლიტიკას.

პირიქით, სოციალური პოლიტიკა ფართო გაგებით შეიცავს თავის თავში ეკონომიკურ პოლიტიკასაც, თუმცა ამავე დროს არც სოციალური პოლიტიკა არ ნიშნავს თავის თავად ეკონომიკურ პოლიტიკას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრას, რომელიც განსხვავდება როგორც უშუალოდ სოციალური პოლიტიკისაგან, ისე უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკისაგან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ინტერესების რეალიზაციისათვის.

სწორედ აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას.

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების, და, ამავე დროს, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემების განხილვისას, ჩვენ ვეყრდნობით, უპირველეს ყოვლისა, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მიერ შექმნილ მიზნის ფილოსოფიას და სოციალური მიზნის ფილოსოფიას [4]. ამასთან ერთად ჩვენ ვეყრდნობით მის მიერვე შექმნილ ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიას [5] და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიას [6], და აგრეთვე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანზორ კურატაშვილის მიერ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების პრინციპულად ახლებურ გააზრებას [7], რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს სრულფასოვანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და ეფექტიანი განხორციელება.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ”სოციალური მიზნის ფილოსოფია, – თვითონ ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, – განსხვავდება მიზნის ფილოსოფიისაგან იმით, რომ თუ მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების კრიტერიუმს და მათი კლასიფიკაციის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, და თუ მიზნის ფილოსოფიას საერთოდ ფაქტობრივად მიეკუთვნება როგორც სოციალური მიზნის ფილოსოფია, ისე ეკონომიკური მიზნის ფილოსოფია, რომელიც საშუალებათა ფილოსოფიის პრაქტიკული გამოვლინების გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენს, სოციალური მიზნის ფილოსოფია ამავე დროს არის პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნის ფილოსოფიას წარმოადგენს ..., და რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველია.

ამრიგად, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება (რომელიც ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს), როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, სოციალური მიზნის ფილოსოფიაზე დაყრდნობით უნდა ამოვდიოდეთ სოციალური მიზნიდან, და ამ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირების შედეგების შეფასება შესაბამისად უნდა ხდებოდეს სოციალური მიზნის რეალიზაციის – ხალხის ინტერესების რეალიზაციის – დონის შესაბამისად” [4, გვ. 118-119].

რაც შეეხება ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიას, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, ”როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან

გამომდინარე, აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ არა ... საშუალებათა უზენაესობით, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის უზენაესობით, ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობით, რაც წარმოადგენს პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას ფილოსოფიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში, რომელიც გამომდინარეობს ... სტრატეგიული მეცნიერული მიმართულებებიდან – მიზნის ფილოსოფიიდან და სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან” [5, გვ. 152].

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს პროფესორ ალფრედ ლურატაშვილის მიერ შექმნილ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიას, რადგან თუ მის მიერ შექმნილი სოციალური მიზნის ფილოსოფია და ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია ძირითადად საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრას და ამ პოლიტიკის მიზნობრივ მიმართულებას და ორიენტაციას, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს [6, გვ. 113].

ამასთანავე, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრისათვის, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფესორ ანზორ კურატაშვილის მიერ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების პრინციპულად ახლებურ გააზრებას, ანუ ახლებურ კონცეფციას, რომლის თანახმად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა არის ”მოგებაზე გამიზნული და ამავე დროს ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკა, რომელშიც ბაზრის მარეგულირებელი როლი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ რომლის სოციალურ ორიენტაციას სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების საშუალებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, – როგორც შემდეგ ყურადღებას ამახვილებს ავტორი, – საბაზრო ეკონომიკის მოგებაზე გამიზნული ფუნქციონირება მისი სოციალური ორიენტაციის გარეშეც კი სულაც არ გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შესაძლებლობას. პირიქით, მომგებიანი ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია სოციალური პრობლემების გადაჭრა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია ავტომატურად არ ხდება, თუმცა მომგებიანი ეკონომიკა ხელს უწყობს მის სოციალურ ორიენტაციის და ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას. უფრო მეტიც, სწორედ მომგებიანი ეკონომიკა წარმოადგენს მისი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკურ საფუძველს, თუმცა მომგებიანი ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას” [7, გვ. 28-29].

მაშასადამე, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპულად ახლებური კონცეფცია საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრას, და აგრეთვე ამ პოლიტიკის პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღვართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსი – იმ საზოგადოებრივ სისტემაში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, მდგომარეობს ისეთ პოლიტიკურ მიმართულებაში, რომელშიც სოციალური, ანუ ხალხის ინტერესების რეალიზაცია განიხილება – როგორც მიზანი, ხოლო ეკონომიკური – როგორც ამ მიზნის რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ, როგორც ლუდვიგ ერხარდი აღნიშნავდა, ”ცნებები ”კეთილდღეობა ყველასათვის” და ”კეთილდღეობა

კონკურენციის მეშვეობით” – დაკავშირებულია უწყვეტად. ერთი არის მიზანი, ხოლო მეორე – გზა, რომელსაც მივყავართ ამ მიზნისაკენ” [8, გვ. 15].

თუმცა, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მიზნისაკენ – ხალხის კეთილდღეობისაკენ, ანუ ხალხის ინტერესების რეალიზაციისაკენ მივყავართ არა მხოლოდ კონკურენციას, არამედ ეკონომიკას საერთოდ.

შემდეგ ლუდვიგ ერხარდი წერდა, რომ ”უკვე ეს მინიშნებები უჩვენებენ სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძვლიან განსხვავებას კლასიკური ლიბერალური მეურნეობისაგან” [8, გვ. 15].

ამრიგად, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღნიშნული პოლიტიკის განხილვისას უნდა იგულისხმებოდეს არა მხოლოდ უბრალოდ სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის ერთმანეთთან ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, ანუ უნდა იგულისხმებოდეს არა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის უბრალო ფაქტი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იგულისხმებოდეს ეკონომიკისადმი მიდგომის აუცილებლობა სოციალური მიმართულების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემების გადასაჭრას.

ლიტერატურა

1. **Философский энциклопедический словарь.** – М.: ИНФРА-М, 1997.
2. **Экономическая энциклопедия/**Науч.-ред. совет. изд-ва "Экономика"; Институт экономики. РАН; Гл. ред. Л. Н. Абалкин-М.: ОАО "Издательство "Экономика", 1999.
3. **Райзберг Б. А., Лозовский Л. Ш., Стародубцева Е. Б.** Современный экономический словарь. – М.: ИНФРА-М, 1996.
4. **კურატაშვილი ალფრედ.** სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
5. **კურატაშვილი ალფრედ.** ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
6. **კურატაშვილი ალფრედ.** თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
7. **კურატაშვილი ანზორ.** სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2008.
8. **Эрхард Л.** Благосостояние для всех: Репринт. Воспроизведение: Пер. с нем./Авт. предисл. Б. Б. Багаряцкий, В. Г. Гребенников. – М.: Начала-Пресс, 1991.

შინაარსი CONTENTS СОДЕРЖАНИЕ

Альфред А. Кураташвили (Тбилиси, Грузия) – ТЕОРИЯ ПЛАНЕТАРНОГО СОЮЗА ГОСУДАРСТВ – НЕОБХОДИМАЯ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНАЯ ОСНОВА РЕШЕНИЯ МЕЖДУНАРОДНО-ПРАВОВЫХ ПРОБЛЕМ ЗАЩИТЫ ПРАВ ЧЕЛОВЕКА.....3

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – მოსამართლეს რატომ არ ეპისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის?! ნუთუ ეს არის ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე?!.....11

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – აღვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო ვითომდა “არაუმეტებით” კლიენტის დაცვა – სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, მაგრამ... (?) ვინ მისცა ადვოკატს თავხედური კანონსაწინააღმდეგო ქმედებების უფლება?!.....29

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – სახელმწიფოში აზარტული “თამაშების” დაშვება და “დაკანონება” – ადამიანის უმთავრესი უფლებების უხეში გათმობაა (?) ბიზნესის ხელის შეწყობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ ცალკეული პირების და თუნდაც სახელმწიფოს გამდიდრებას ადამიანები არ უნდა ეწირებოდნენ (!).....37

ციცინო ვახოკიძე (თბილისი, საქართველო) – მოსაზრებები ანტინარკოტიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებით.....46

Тамара В. Иванова (Киев, Украина) – ЭКОЛОГО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ В СИСТЕМЕ НАУЧНЫХ ТЕОРИЙ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ.....49

ნუგზარ სვინიავა (თბილისი, საქართველო) – კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ განსორციელებული საბანკანათო საქმიანოების სახელმწიფო რეგულირების მქანისშეშობის (ლიცენზირება, ავტორიზაცია) შედეგებითი ანალიზი.....52

მინდია ოკუჯავა (თბილისი, საქართველო) – თანამედროვე შესვლულეები სახელმწიფო მმართველობის ფორმათა კლასიფიკაციის შესახებ.....60

Ярослав Ф. Жовнирчик (Киев, Украина) – РОЛЬ ГОСУДАРСТВЕННОГО ВЛИЯНИЯ НА ИННОВАЦИОННЫЕ ПРОЦЕССЫ В УКРАИНЕ.....64

Т.М. Остапчук (Киев, Украина) – ЭКОЛОГИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ В КОНТЕКСТЕ ГЛОБАЛИЗАЦИИ.....66

ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – საზოგადოებრივი ცნობების დემოკრატიზაციის – რობორც სახელმწიფო რეგულირებისა და სახელმწიფო მართვის შიდადგენილი ნაწილის – თეორია.....69

Е.Я. Немировская (Киев, Украина) – О РОЛИ И СТАТУСЕ ГОСАДМИНИСТРАЦИЙ В СИСТЕМЕ ГОСУДАРСТВЕННОГО УПРАВЛЕНИЯ СОВРЕМЕННОЙ УКРАИНЫ.....76

თამარ ბაჩიაშვილი (თელავი, საქართველო) – ტურიზმი და საბაზრო ურთიერთობების მკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის პრობლემა.....78

მელვა შენგელია (თბილისი, საქართველო) – საავტორო უფლებების მართვის პრობლემა საქართველოში.....82

ნინო კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – სახელმწიფოს სოციალურ-მკონომიკური პოლიტიკა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემა85

სოციალურ-ეკონომიკურ მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემია
პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА

**ადამიანის უფლებებთან დაცვის
სახელმწიფოებრივი პრობლემები**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები

(12.08.2014)

თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2014.

**STATE PROBLEMS
OF HUMAN RIGHTS PROTECTION**

Materials of International Scientific Conference

(12.08.2014)

Tbilisi: International Publishing House "Progress", 2014.

**ГОСУДАРСТВЕННЫЕ ПРОБЛЕМЫ
ЗАЩИТЫ ПРАВ ЧЕЛОВЕКА**

Материалы Международной научной конференции

(12.08.2014)

Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2014.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.08.2014
Authorized for publication 13.08.2014
Подписано в печать 13.08.2014

ნაბეჭდი თაბახი 11,25
Printed Papers 11,25
Печатных листов 11,25

E-mail: alfredkurat@yahoo.com

Tel.: +995 599 29-46-57